CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

რეკლამა „ალიაში“
577-444-442

N163/3093/ 6 ნოემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## რა მოხდა გუშინ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე...

ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიას უთხრა... შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს მიუბრუნდა... ეს ფრაზები საკმარისი აღმოჩნდა, ირაკლი ალასანია ამდგარიყო და პოლიტსაბჭოს სხდომა დაეტოვებინა



## პრეზიდენტი ვალდებული იქნება, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს

რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში უმრავლესობის დასაბრუნებლად?

## რა შეიცვლება ქართულ დიპლომატიაში ფანჯიკიძისა და მისი მოადგილეების გადადგომით?

„კოალიციაში კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება ურთიერთუნდობლობა და უთანხმოება. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ცალკე შემოაგდო ბომბი“

## თავდაცვის ახალი მინისტრი უწყებაში აუდიტს შეიყვანს?

რა საგანგებო მისიით მიავლინა ღარიბაშვილმა ჯანელიძე თავდაცვაში?

## პრეზიდენტის საგანგებო განცხადება



ავსტრიიდან დაბრუნებულმა პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება გააკეთა.

„ჩვენ, ქართველი პოლიტიკოსები, ბედნიერი ვართ, რომ ვემსახურებით ერს, რომელსაც მტკიცე არჩევანი აქვს თავის ღირებულებებში და ეს არჩევანი არის ის არჩევანი, რომელიც არა რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ გააკეთა, არამედ გააკეთა ხალხმა. საქართველოს ევროპული კურსის ცვლილება არის რეალურად შეუძლებელი, მაგრამ ამასთანავე შესაძლებელია, დაისვას კითხვა, რამდენად ეფექტიანად ვემსახურებით ჩვენ, პოლიტიკოსები, ერის ნებას. ამას პასუხი უნდა გაეცეს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი სამსახური ხარისხიანი იყოს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით მე მივმართავ მთავრობას და პარლამენტს, უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნას ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტირების საკითხი. კონსტიტუციის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოვუწოდებ პარლამენტს, განხილულ იქნას ევროკავშირსა და ნატოს სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის საკითხები, რომელსაც დავესწრები მე და უშიშროების საბჭოს მდივანი“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ნიუპოსტი)

## „ლევან იზორიას გადადგომის საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა“



შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას გადადგომის საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა.

ლევან იზორია თანამდებობაზე დანიშვნამდე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი იყო და ეს კითხვა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა ალასანია თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლა და შემდეგ თანამდებობები დატოვეს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ალექსი პეტრიაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „ჯარი აპოლიტიკურია და გენშტაბის უფროსი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს“



საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ თავდაცვის მინისტრის განთავისუფლების შესახებ, აშშ-ში ვიზიტისას შეიტყო. მისი თქმით, პენტაგონში, სადაც ის შეხვედრებს მართავს, მინისტრის მოხსნის საკითხი არ განხილულა, თუმცა შეკითხვა მაინც დაისვა.

„ვინაიდან პენტაგონი სამხედრო ორგანიზაციაა, მსგავსი კითხვები არ ყოფილა, თუმცა ერთ-ერთმა წარმომადგენელმა – გაერთიანებული შტაბის უფროსის პოლიტიკურმა მრჩეველმა მკითხა, რამდენად შეესაბამებოდა ეს სიმართლეს და რამდენად ვიყავით ინფორმირებულები. ჯარი არის დამოუკიდებელი სამხედრო უწყება, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ პოლიტიკურ ორთაბრძოლებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი ამოცანა, დანაყოფები ასრულებენ თავის ყოველდღიურ რეჟიმს“, – განაცხადა კაპანაძემ.

ის თავდაცვის ახალი მინისტრის კანდიდატურასაც გამოეხმაურა.

„ბატონმა ალასანიამ ძალიან ბევრი გააკეთა თავის დროზე შეიარაღებული ძალებისთვის, მისი მინისტრობის პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს შეიარაღებული ძალების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად. ახალ მინისტრს კარგად ვიცნობ და ვუსურვებ წარმატებას“, – განაცხადა კაპანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ფანჯიკიძის არაოფიციალური შემცვლელი



საგარეო საქმეთა მინისტრად კონსტანტინე ზალდასტანიშვილის კანდიდატურა განიხილება. ამის შესახებ „ინფო9“-ს საპარლამენტო კულუარებში განუცხადეს. ზალდასტანიშვილი საქართველოს ავსტრიის რესპუბლიკაში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობისა და ორგანიზაციასა და ქალაქ ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელია.

წყაროს ინფორმაციით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებს ზალდასტანიშვილის კანდიდატურა მოსწონთ და აპირებენ, რომ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მისი მინისტრად დანიშვნა ურჩიონ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას საგარეო საქმეთა მინისტრად ზურაბ აბაშიძისა და ზვიად კვაჭანტირაძის კანდიდატურებთან დაკავშირებით, უმრავლესობაში ამბობენ, რომ აბაშიძის კანდიდატურა იმ ფაქტორის გამო არ განიხილება, რომ ის პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელია რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში და ოპონენტები მის მინისტრად წარდგენას პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოიყენებენ. (პირველი რადიო)

## ამინდი გაუმჯობესდება



სინოპტიკოსები საქართველოს მასშტაბით, ამინდის გაუმჯობესებას დღეიდან ვარაუდობენ. სპეციალისტების ინფორმაციით, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში და დედაქალაქში დღისით ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს, თუმცა ცალკეულ რეგიონებში ღამით ყინვა შენარჩუნდება.

13 ნოემბრამდე უნალექო ამინდია მოსალოდნელი. დასავლეთში ჰაერის ტემპერატურა აიწევს 20 გრადუსამდე, აღმოსავლეთში მიაღწევს 17 გრადუსს. რაც შეეხება მაღალმთიან რაიონებს, აქ დაბალი ტემპერატურა და თოვაა მოსალოდნელი. (რეპორტიორი)



## პრემიერმა თავდაცვის მინისტრის მოადგილეები თანამდებობიდან გაათავისუფლა



პრემიერ-მინისტრმა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის შესახებ პრემიერის ბრძანებულებაშია ნათქვამი, რომელიც მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უკვე გამოქვეყნებულია.

„საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, შეუწყდეთ უფლებამოსილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს“, – ნათქვამია პრემიერის ბრძანებულებაში. (ნიუპოსტი)

## „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში რჩება



„ქართული ოცნების“ ოფისში კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომის საბჭოს დასრულების შემდეგ „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ განაცხადა:

„თავისუფალი დემოკრატების“ გადაწყვეტილება კოალიციის დატოვების შესახებ არის ძალიან დიდი დანაკლისი კოალიციისთვის. ჩვენ მათთან დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადავწყვიტეთ ერთად. მათთან „რესპუბლიკელებს“ არასდროს ჰქონიათ არსობრივი დაპირისპირება და ეს ურთიერთობა გაგრძელდება.

ჩვენ მყარად ვართ წარმოდგენილი პარლამენტში, „რესპუბლიკელები“, უნდა გავუსვათ იმასაც ხაზი, რომ ევროატლანტიკურ არჩევანს დღეს არა აქვს ალტერნატივა ხელისუფლებაში. ჩვენ ვრჩებით კოალიციაში და ვაპირებთ არსებულ პრობლემებზე ვიმსჯელოთ. მათ შორის იმ საკითხებზე, რაც ცოტა ხნის წინ დააყენა „რესპუბლიკურმა პარტიამ“ კოალიციის მოდელზე, რომელიც დღეს არსებობს. უახლოეს მომავალში გაიხსნება ამ საკითხზე მსჯელობა. ამ საკითხებზე მანამდე რომ გვემსჯელა, ამ ტიპის კრიზისი, რაც დღეს იყო, კოალიციაში არ იქნებოდა“, – განაცხადა სამნიძემ. (ნიუპოსტი)

## ე.წ. კაბელების საქმეზე თავდაცვის მაღალჩინოსანი დაკითხეს



პროკურატურაში თავდაცვის სამინისტროს IT-დეპარტამენტის უფროსის დაკითხვა ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. დაკითხვის შემდეგ ირაკლი უჯმაჯურიძეს კომენტარი არ გაუკეთებია. შეგახსენებთ, რომ თავდაცვის უწყების თანამშრომელი, მთავარ პროკურატურაში ე.წ. კაბელების საქმეზე მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით დაკითხეს. უცნობია, ირაკლი უჯმაჯურიძე რა სტატუსით იმყოფებოდა პროკურატურაში.

უჯმაჯურიძე თავდაცვის სამინისტროს ტექნოლოგიური სამსახურის უფროსის პოსტს 2013 წლის დასაწყისიდან იკავებს. (kvira.ge)

## „ირაკლი ალასანიას სამი შეცდომა“



radiotavisupleba.ge ჟურნალისტ კობა ლიკლიკაძის ბლოგს აქვეყნებს:

„4 ნოემბერს მოვლენები საქართველოში ელვის უსწრაფესად განვითარდა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადააყენა ირაკლი ალასანია, რომელმაც მანამდე თავადვე სცადა შეტევაზე გადასვლა. თუმცა, სტარტზევე მისთვის დამახასიათებელი სიფრთხილე გამოიჩინა და თან, ვფიქრობ, რამდენიმე შეცდომაც დაუშვა.

პირველი შეცდომა იყო იერიში პროკურატურაზე, რომელიც – საქართველოში ბავშვმაც კი იცის – დამოუკიდებლად არ მოქმედებს.

მეორე შეცდომა იყო ევროატლანტიკურ მიმართულებასთან საკუთარი თავის გაიგივება. ალასანიამ ყოველგვარი მოკრძალების გარეშე განაცხადა, რომ სამხედრო უწყების რამდენიმე მაღალჩინოსნის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიება არის „შეტევა საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე“.

„მე მინდა ასევე გითხრათ, რომ კარგად ვიცი, ვისი გორისა ვარ. ვერ შემაშინებს ვერც პროკურატურა, ვერც ის ტალახი, რომელიც იყო ზოგიერთი მედიის წარმომადგენლის მხრიდან ნასროლი. მე გპირდებით ქართულ საზოგადოებას, რომ ბოლომდე მივიყვან ჩემ მიერ დაწყებულ საქმეს და ვუერთგულებთ იმ იდეალებს, რომლისთვისაც საზოგადოებასთან ერთად ჩვენ გავიმარჯვეთ. ახლა მთავარია სიმშვიდე, სიბრძნე და მტკიცედ გავაგრძელოთ საქართველოს პოლიტიკური მომავლისთვის ბრძოლა“, – თქვა ალასანიამ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში თავდაცვის მინისტრს მართლაც ბლომად შეასხა ტალახი ზოგიერთმა მედიასაშუალებამ და მას სრული უფლება აქვს, გაბრაზებული იყოს შეკვეთილი პუბლიკაციების გამო; ალასანიას არაერთი საყვედურის მოსმენა მოუხდა თავისივე კოალიციის ყოფილი ლიდერისა თუ ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის მხრიდანაც და, შესაბამისად, მას ასევე სრული უფლება აქვს, მოითხოვოს საქმის გარკვევა პოლიტიკურად ჭრელსა და ფასეულობების მხრივ არცთუ ერთგვაროვან კოალიციაში; ალასანიას შეიძლება ლეგიტიმური ეჭვი ჰქონდეს იმის თაობაზეც, რომ პროკურატურა პოლიტიკურად მოტივირებულ გამოძიებას აწარმოებს სამხედრო უწყების წინააღმდეგ, იმ უწყებისა, რომელზე ხელის შეწმენდაც აქამდე ყოველთვის ადვილი იყო საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის.

მაგრამ არა მგონია, ალასანიასთვის მოგებიანი ყოფილიყო საკუთარი თავის გაიგივება პროდასავლურ ორიენტაციასთან. მით უფრო, ისეთი აპოკალიფსური სურათის დახატვა, თითქოს მისი კრიტიკით, ან სამხედრო უწყებაში ხელმრუდობის ფაქტის გამოვლენით (თუკი ასეთი რამ მართლაც მოხდა) საქართველოს ევროატლანტიკური მომავალი იღუპებოდეს; რაც, ჩემი აზრით, არის მესამე და მთავარი შეცდომა.

ამ მესიჯის გავრცელებით ალასანია არა მხოლოდ საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, არამედ, ვფიქრობ, კრიტიკის საბაბსაც აძლევს თავის პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებმაც თავდაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრს მწარედ შეახსენეს მისი და მისი თანაგუნდელების გამოთქმები და საქციელი. (news.ge)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# რა შეიცვლება ქართულ დიპლომატიაში ფანჯიკიძისა და მისი მოადგილეების გადადგომით?

## „კოალიციაში კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება ურთიერთუნდობლობა და უთანხმოება. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ცალკე შემოაგდო ბომბი“

4 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ჯერ კიდევ თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია დაუკრეფავში გადავიდა და პრაქტიკულად, 7-ის 5 წუთზე ის უკვე მინისტრი აღარ იყო – როდესაც მან განაცხადა, ჩვენ, პროდასავლური კურსის მომხრეებს, პრორუსული ძალები გვებრძვიანო, პრემიერ-მინისტრს შანსი აღარ დაუტოვა. დაახლოებით 1 საათში ირაკლი ღარიბაშვილმა ის კი არ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, გააგდო. იმავე ღამეს „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში გადადგა ალექსი პეტრიაშვილი (სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში), ალასანიას პარტიის წევრი, რაც ნამდვილად ღირსეული ნაბიჯია. 5 ნოემბერს, დღის 12 საათზე თანამდებობა დატოვა საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ, ირაკლი ალასანიას ცოლისდამ. მას მიჰყვნენ მოადგილეები, დავით ზალკალიანი, თამარ ბერუჩაშვილი, დავით ჯალაღანია და ვლადიმერ გურგენიძე. ზუსტად 10 წუთში ირაკლი ღარიბაშვილმა წარმოგვიდგინა თავდაცვის ახალი მინისტრი, მინდია ჯანელიძე და თქვა, რომ ის იქნება გაცილებით კარგი მინისტრი, ვიდრე იყო მისი წინამორბედი. დამეთანხმებით, ეს იყო თავბრუდამხვევი ცვლილებები. შეიძლება ვცდები, მაგრამ თითქოს პრემიერ-მინისტრი ნასიამოვნებიც კი დარჩა – მან ერთი ადამიანის გაგდებით რამდენიმე არასასურველი ჩინოვნიკი მოიშორა. რა მოხდა და რა იქნება შემდეგ?

**ამაზე „ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**



– მე ვაკვირდებოდი და ვგრძნობდი, ირაკლი ღარიბაშვილი ბოლო დღეებში ცდილობდა, ეს კრიზისი უმტკივნეულოდ დაესრულებინა, მაგრამ ალასანიამ შანსი არ დაუტოვა. რასაკვირველია, ალასანიას თანამდებობიდან ადრე თუ გვიან გადააყენებდა, მაგრამ სხვაგან გადაიყვანდა, ლაპარაკი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაყვანაზე, შეიძლება სადღაც პრესტიჟულ ქვეყანაში ელჩადაც გაეშვა, იგივე ამერიკაში. ალასანიამ თავისი პირველი განცხადების შემდეგ ღარიბაშვილისკენ მიმავალი ყველა ხიდი დაწვა. ჩემთვის ყველაზე გულისამრევი ის არის, რომ ირაკლი ალასანია უცებ იქცა „რუსთავი 2“-ის ვარსკვლავად.

**— ბატონო სოსო, ეს არის თუ არა პოლიტიკური კრიზისი?**

– ეს არის კლასიკური სახელისუფლებო კრიზისი, რაც საპარლამენტო რესპუბლიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა. უბრალოდ, ჩვენ ვართ მიუჩვევლები. გვიკვირს, როგორ შეიძლება, მინისტრმა გააპროტესტოს და დაეჯახოს მთავრობას? მე ჯერ კიდევ სამი თვის წინ გითხარი, რომ ალასანიას ადგილი არის ოპოზიციაში. შეიძლება ეს მისი პირადი ტრაგედიაა, ის არ არის გუნდური მოთამაშე.

**— ალასანია ამბობს, პრორუსული ძალები მებრძვიანო და ამავე დროს რიჩარდ ნორლანდიც მხარს უჭერს, ანუ ენდობა, ეს არ გამოიწვევს გართულებებს?**

– ეგ ზღაპარია, ასე აწყობს დღეს ალასანიას და ლაპარაკობს, საკუთარი თავის გაკეთილშობილებას ცდილობს. როგორ შეიძლება, ერთმა



უწყებამ, ანუ პროკურატურამ შეცვალოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია? ეს სასაცილოც კი არ არის, ეს ბავშვური ბოდვაა. თუ მხოლოდ ერთი უწყება, თავდაცვის სამინისტროა საგარეო კურსის გარანტი, მაშინ ჩვენს თავს დიდი ტრაგედია ტრიალებს. მაშინ ჩვენ ვემსგავსებით გასული საუკუნის თურქეთს, როდესაც ქვეყნის ორიენტაციისთვის ჯარი ერეოდა ხოლმე საქმეში, სამჯერ გამოვიდა არმია ყაზარმიდან და ნატოში ყოფნის კურსი დაიცვა. სერიოზულად არც კი შეიძლება ლაპარაკი იმაზე, დღეს ჩვენი ქვეყანა პროდასავლურია თუ პროაღმოსავლური, საქართველო უკვე ისე ღრმად არის დაკავშირებული დასავლეთთან, რომ სამოქალაქო ომის, სამხედრო გადატრიალების გარეშე, გარედან აგრესიის გარეშე ამ კურსის შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

**— ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკელები ამას არ მოითმენენ და ღარიბაშვილის მთავრობას პრობლემებს შეუქმნიან.**

– ამერიკელებს ჯვარი არავისზე არ აქვთ დაწერილი, ისინი მიშა სააკაშვილსაც კი იცავდნენ კბილებით გარკვეულ დროს, მაგრამ როცა ნახეს, რომ მისი შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო, უთხრეს: თითი არ გაანძრიო, გადადექი, წადი. ალასანიამ უკვე თვითონ გახადა შეუძლებელი, რომ ამერიკელებმა დაიცვან, ეს გააკეთა თავისი პირველი განცხადებით. ამერიკელები პრაგმატიკოსები არიან, ელჩი გამოვიდა და თქვა, ჩვენ ალასანიას ვენდობითო, შვეიცარიის ელჩიც გამოვიდა და ყოველგვარი დიპლომატიური ეთიკის გარეშე ჩაერია ჩვენს საშინაო საქმეებში, დაიწყო სიმპათიების გამოხატვა ერთი უწყების მიმართ, მაგრამ მორჩა, გაჩერდა, მეტი ველარაფერი გააკეთა. ახლა ამერიკელები ყველანაირად შეეცდებიან, იგივე ურთიერთობები, როგორიც ჰქონდათ ალასანიასთან, ახალ მინისტრთან დაამყარონ. ეს ღარიბაშვილმა მშვენივრად იცის. მაგრამ აქ სხვა მოვლენებია საყურადღებო – პარლამენტში ძალთა თანაფარდობის შეცვლა, „თავისუფალი დემოკრატები“ გავიდნენ კოალიციიდან და არ დაგავიწყდეს, „რესპუბლიკელებმა“ უკვე ღიად გამოუცხადეს სოლიდარობა. კოალიციაში კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება ურთიერთუნდობლობა და უთანხმოება. პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ცალკე შემოაგდო ბომბი ავსტრიიდან, ქვეყანა კულუარებიდან უნდა იმართებოდესო. მოიცა, კულუარებიდან ვინ მართავს ქვეყანას, გელა ზედელაშვილი იგულისხმა თუ

**„ალასანიამ უკვე თვითონ გახადა შეუძლებელი, რომ ამერიკელებმა დაიცვან, ეს გააკეთა თავისი პირველი განცხადებით. ამერიკელები პრაგმატიკოსები არიან, ელჩი გამოვიდა და თქვა, ჩვენ ალასანიას ვენდობითო, შვეიცარიის ელჩიც გამოვიდა და ყოველგვარი დიპლომატიური ეთიკის გარეშე ჩაერია ჩვენს საშინაო საქმეებში, დაიწყო სიმპათიების გამოხატვა ერთი უწყების მიმართ, მაგრამ მორჩა, გაჩერდა, მეტი ველარაფერი გააკეთა“**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „თავისუფალი დემოკრატები“ ვერ იქნება პოლიტიკურ კავშირში „ნაცმოძრაობასთან“



ირაკლი ალასანია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პოლიტიკურ კავშირს არ გეგმავს, თუმცა ის არ გამორიცხავს თანამშრომლობას კოალიციაში შემავალ ძალებთან, მათ შორის „რესპუბლიკელებთან“.

„ჩვენ პარტნიორებს მომავალშიც ვხედავთ კოალიციის ძალებში. კოალიციის ძალებში არის ლიბერალური მიმართულების პარტიები, რომლებიც მონათესავე ორგანიზაციები არიან და გვაქვს ძალიან მჭიდროდ ჩამოყალიბებული თანამშრომლობა, თუნდაც „რესპუბლიკური პარტია“, რომელთანაც გვაკავშირებს ღირებულებითი ძალიან დიდი ერთობა. რაც შეეხება ზოგადად მომავალში ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს, ერთი რამ, რაც შემიძლია ძალიან ცხადად და ძალიან ცალსახად გითხრათ, „თავისუფალი დემოკრატები“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება პოლიტიკურ კავშირში „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ჩვენ გვაქვს ფუნდამენტური განსხვავებები ძალიან ბევრ საკითხზე, მათ შორის იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო მათი მმართველობის დროს ქვეყანა“, – განაცხადა ალასანიამ. (ნიუპოსტი)

### რამდენიმე ელჩმა შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს

უცხოეთში საქართველოს რამდენიმე ელჩმა, შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს. არსებული ინფორმაციით, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ნატო-ში ლევან დოლიძემ პოსტი უკვე დატოვა. დოლიძე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ვიქტორ დოლიძის ძმაა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### აპატურაი ალასანიას, ფანჯიკიძესა და პეტრიაშვილს მადლობას უხდის



ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება:

„უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს თვალყურს ვადევნებ. მსურს სამ მინისტრს მადლობა გადავუხადო, ვისთან ერთადაც უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა მქონდა. მადლობას ვუხდი შესრულებული მძიმე სამუშაოსთვის და საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსისკენ წინსვლაში დაუღალავი შრომისთვის. მე ასევე პირადად გადავუხდი მათ მადლობას მეგობრობისთვის, რომელსაც იმედი მაქვს, შევინარჩუნებთ.

მოხარული ვარ პრემიერ-მინისტრის განცხადების, რომელმაც აღნიშნა, რომ მინისტრების თანამდებობიდან წასვლის გამო, საქართველო ევროატლანტიკური კურსიდან არ გადაუხვევს. ეს, მჯერა, რომ ქართველი ხალხის არჩევანია. ნატო და პირადად მე, განვაგრძობთ მუშაობას საქართველოს დასახმარებლად, რათა ქვეყანამ გადადგას ნაბიჯები ნატო-ში გაწევრიანებისკენ“, – წერს აპატურაი. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

სოსო ცინცაძე?

**— რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი იგულისხმა.**

– ამას ისე გამოუვიდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვარს არ დავასახელებო.

რასაკვირველია, ესმის, აქ დგება კიდევ ერთი საკითხი, თეა წულუკიანი დარჩა მთავრობაში, ის ბოლო ხანებში დისტანცირებას ახდენდა ალასანიასგან და ახლოს მიდიოდა ღარიბაშვილთან. მე არ ვიცი, ხვალ რისი იმედი აქვს ალასანიას? ფაქტობრივად, ის გააგდეს კოალიციიდანაც. მას, ალბათ, ჩამოსცილდებიან მიტმასნილებიც, მაგალითად, დავით ონოფრიშვილი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ფიგურა. ეგ იყო ფინანსთა მინისტრი, ამბობდნენ, კარგი სპეციალისტიაო, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კაბინეტის მუშაკია. ალასანიას ბევრი გაყიდის, მაგრამ მან ერთი ნიშანდობლივი რამ თქვა – ყველასთან ვითანამშრომლებ, ვინც პროდასავლურიაო, ვისაც გამოცდილება აქვსო, აქ „ნაციონალები“ იგულისხმა.

**— ალასანია აქამდე ფარულად დადიოდა გიგა ბოკერიასთან, ახლა, ალბათ, ღიად ივლის.**

– შეიძლება, ეგ არ არის გამორიცხული, მაგრამ მას კიდევ ერთი გამოწვევა ელოდება, პროკურატურა ცალკე მუშაობს მის საქმეზე და ასევე „ნაციონალების“ საქმეზე 315-ე მუხლით, რაც ხელისუფლების დამხობის მცდელობას გულისხმობს. ალასანიას ხელისუფლებაში არავის იმედი არ უნდა ჰქონდეს, „რესპუბლიკელების“ გარდა, და ასევე არ მიესვლება არასაპარლამენტო პარტიებთან – მაგალითად, ნინო ბურჯანაძეს ვერც კი დაელაპარაკება, საერთოდ არ მიიღებს. ალასანიამ ყველაზე კარგად იცის, რომ მისი წასვლით ნატოს მხრივ და ევროკავშირის მხრივ არაფერი შეფერხდება, მას არაერთხელ უთხრეს ყურში, უახლოეს ხანში ვერ მიგიღებთო, მაგრამ ახლა ისღა დარჩენია, თავისი დემაგოგია გაშალოს. თუ ალასანია ცოტა არ „წაატორმუზებს“ და გააგრძელებს გამოხტომებს, არ არის გამორიცხული, პროკურატურა მაგასაც მიადგეს, შესყიდვებში იმდენი შავი ხვრელია, ეგ არ გაჭირდება.

**— წავიდა საგარეო საქმეთა მინისტრი და მას თან მიჰყვა თავისი გუნდი. ასევე გადადგა ლევან დოლიძე, ელჩი ნატოში და კიდევ აპირებენ გადადგომასო. ეს დიპლომატიური კუთხით პრობლემებს ხომ არ გამოიწვევს?**

– მერწმუნეთ, ამას არ მოჰყვება არანაირი გართულება. ახლა მთავარია, ვინ დაინიშნება საგარეო საქმეთა მინისტრად და ვის დანიშნავენ ელჩებად. მაგალითად, ჩვენს წრეებში მხოლოდ იმას ლაპარაკობენ და მეც ვიცი, რომ დაინიშნება ადამიანი ირაკლი ღარიბაშვილის უახლოესი გარემოცვიდან. მაგალითად, მე მეგონა, თავდაცვის მინისტრად დაინიშნებოდა ირაკლი სესიაშვილი, მაგრამ დაინიშნა პრემიერის უახლოესი ადამიანი. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდება ის ადამიანი, რომელსაც არ ექნება პოლიტიკური ამბიციები. ახლა შანსი ეძლევა ხელისუფლებას, ცოტაოდენ მაინც წასწიოს წინ რუსეთთან დარეგულირების საკითხი, თუ აქაც დასვეს უხერხემლო პიროვნება, რომელიც



**„ახლა ამერიკელები ყველანაირად შეეცდებიან, იგივე ურთიერთობები, როგორიც ჰქონდათ ალასანიასთან, დაამყარონ ახალ მინისტრთან. ეს ღარიბაშვილმა მშვენივრად იცის. მაგრამ აქ სხვა მოვლენებია საყურადღებო — პარლამენტში ძალთა თანაფარდობის შეცვლა, „თავისუფალი დემოკრატები“ გავიდნენ კოალიციიდან და არ დაგავიწყდეს, „რესპუბლიკელებმა“ უკვე ღიად გამოუცხადეს სოლიდარობა“**

საკუთარ თავზე ვერ აიღებს პასუხისმგებლობას, რომელსაც შეეშინდება, ვაიმე, რას იტყვიან „ნაციონალები“ და რას იტყვის ირმა ნადირაშვილიო, მაშინ არაფერი გამოვა.

სამწუხაროდ, ქართული დიპლომატიის არქივში არ მოიძებნება არც ერთი ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ჩვენმა რომელიმე ელჩმა გააფორმა. ვის სჭირდება არაფრისმთქმელი ხელის ჩამორთმევა და რაღაც უაზრო ქარტიების მიღება? ირაკლი ღარიბაშვილს ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ ემუქრება, არა მგონია, მაია ფანჯიკიძის წასვლით მსოფლიო დიპლომატიამ ისეთივე დანაკლისი გამოიწვიოს, როგორც ბისმარკის წასვლამ გამოიწვია. მე ვერ წარმომიდგენია მაია ფანჯიკიძეზე უარესი მინისტრი თავისი საკადრო პოლიტიკით.

**— ბატონო სოსო, ხომ არ შეიძლება, ამ ყველაფრით ისარგებლოს რუსეთმა? სწორედ ახლა გამოვარდა ედუარდ კოკოითი და თრუსოს ხეობა ჩვენია, ამისთვის ვიბრძოლებთო. ვლადიკავკაზში ჩაუტარებიათ ოსთა ყრილობა.**

– კოკოითი მაგას ლაპარაკობს უკვე 10 წელია, მაგას ახლა გეგმები აქვს, რომ დაბრუნდეს „დიდ“ პოლიტიკაში. სანამ პუტინს არ გადაუჭრია უკრაინის პრობლემა, ეჭვი მეპარება, 2 სოფლის გულისთვის რამე გააკეთოს. რუსეთი ვერაფერს ვერ გამოიყენებს, ეს არის სამთავრობო ცვლილებები ხმაურის ფონზე და სახელისუფლებო კრიზისი, რომელიც ამ დღეებში ჩაცხრება.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

# „ფონდი ნატახტარი“ Marketing Brilliance Awards 2014-ზე წლის საუკეთესო სოციალურ პროექტად დასახელდა




25 ოქტომბერს თბილისმა ყველაზე მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოება **Marketing Brilliance Awards** 2014-ს უმასპინძლა, რომლის მიზანსაც ყველაზე ინოვაციური პროექტების გამოვლენა და საუკეთესოს აღიარება წარმოადგენს. ღონისძიების ორგანიზატორია ბრიტანული კომპანია **BOC - Global Events Group.**

ბიზნესდაჯილდოება **Marketing Brilliance Awards** 2014-ზე ნომინაციაში წლის საუკეთესო სოციალური პროექტი, „ფონდი ნატახტარი“ დასახელდა. მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიების ორგანიზატორებმა სხვა სოციალურ პროექტებს შორის „ფონდი ნატახტარი“ თავად წარადგინეს, ხოლო ჟიურიმ და ექსპერტებმა ფონდის საქმიანობისა და შედეგების კვლევის საფუძველზე საუკეთესოდ აღიარეს.

**„საამაყოა, როდესაც კომპეტენტური ჟიური ბევრ საინტერესო სოციალურ პროექტს შორის შენსას გამოარჩევს. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პროექტები წელს პირველად იქნა განხილული და წლის საუკეთესო სოციალური პროექტიც პირველად დასახელდა. ამასთანავე, „ფონდი ნატახტარი“ თავად ორგანიზატორებმა, სხვა სოციალურ პროექტებს შორის, წარადგინეს, ისე, რომ ამის შესახებ კომპანიაში არაფერი ვიცოდით. საერთაშორისო ჟიურიმ ფონდის საქმიანობასა და შედეგების კვლევებზე დაყრდნობით გამარჯვებულად დაგვასახელეს. დიდი მადლობა ასეთი აღიარებისთვის. ეს ჯილდო დამატებითი მოტივაციაა არა მხოლოდ კომპანია „ნატახტარისთვის“ არამედ ფსიქოლოგების, აღმზრდელების, სოციალური მუშაკებისა და ყველა სხვა ადამიანისთვის, ვინც ჩართულია ამ პროექტის აღსრულებაში. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა და განსაკუთრებით მათ, ვინც გამოარჩია „ფონდი ნატახტარი“**, – აღნიშნა კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა **თორნიკე ნიკოლაიშვილმა**.

**„ნატახტარი სრულიად დამსახურებულად გახდა ბიზნეს ბრილიანს ავარდის 2014 წლის გამარჯვებული, კატეგორიაში: ბრილიანსი CSR-ში. ფონდი ნატახტარი პოზიტიურად ცვლის მზრუნველობამოკლებულ მოზარდთა ცხოვრებას და ამით საუკეთესო მაგალითს აძლევს სხვა მსხვილ კორპორაციებს. BOC ულოცავს „ნატახტარს“ ამ მნიშვნელოვან ჯილდოს და უსურვებს წარმატებულ საქმიანობას“**, – განმარტავს **BOC - Global Events Group**-ის მარკეტინგის დირექტორი **მაკა ყუფარაძე.**



**„ფონდი ნატახტარი“ 2011 წლიდან ეხმარება მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში. თანხა ნოემბრიდან თებერვლის მანძილზე გროვდება. სამი წლის განმავლობაში 420 000 ლარზე მეტი შეგროვდა. ამჟამად, ფონდის ფარგლებში 159 ბენეფიციარი შემდეგი მომსახურებით სარგებლობს: ფსიქოლოგიური კონსულტაცია, საგნებში მომზადება, პროფესიული განათლებისა და მართვის მოწმობის მიღება, პროფესიისთვის საჭირო იარაღების/მასალის შეძენა, სტიპენდია (ბინის ქირა, კვება, გზა). თითოეული ბენეფიციარისთვის თანხა მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამოიყოფა.**

**პროექტი საქართველოს პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით, ასოციაცია „ჩვენი სახლი – საქართველოს“ მიერ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ თანხების გამჭვირვალობა დადასტურებულია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია PricewaterHouse Cooper-ის მიერ.**

**Business Brilliance Award** ცერემონია და ბიზნესის განვითარების ფორუმი თბილისში უკვე მეორედ ჩატარდა. ფორუმი საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე ლიდერებისთვის, მარკეტინგისა და კომუნიკაციების ექსპერტებისთვისაა განკუთვნილი.

GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.

GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.

აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.






ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თავდაცვის 5 მაღალჩინოსანი პატიმრობაში რჩება



ადვოკატ ლევან სამუშიას განცხადებით სააპელაციო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს 5 მაღალჩინოსნის საჩივარი დაუშვებლად ცნო, რითაც ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება, აღნიშნული პირების მიმართ, აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

„სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განჩინება და უკანონობა დატოვა ძალაში“ – განაცხადა სამუშიამ.

მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები 28 ოქტომბერს დააკავა. მათ ბრალად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 მილიონ 102 ათას 872 ლარის გაფლანგვა ედებათ. (ნიუპოსტი)

## „ჩემი მმართველობა კანონის უზენაესობას და გამჭირვალობას დაეფუძნება“



თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ პრემიერ-მინისტრს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მზად არის ამ ნდობის გასაკეთებლად ყველაფერი გააკეთოს.

„შეიაღებული ძალების განვითარების კურსი უცვლელი დარჩება. ეს ჩვენი ხალხის და მთავრობის არჩევანია. ის ორიენტირებული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი ქვეყანა ნატოს კიდევ უფრო დაუახლოვდეს. ასევე, აქტიურად გაგძელდება სამხედრო თანამშრომლობა ჩვენს სტრატეგიულ პატრნიორებთან – აშშ-სთან, ბრიტანეთთან და საფრანგეთთან. მეორე პრინციპი, რასაც დაეფუძვნება ჩემი მმართველობა, იქნება შეირაღებულ ძალებში თითოეული ჯარისკაცის და ოფიცრის პატივისცემა. ისინი გმირები არიან და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ საკუთარი თავის რეალიზება სრულად მახდინონ. გაგრძელდება მთავრობის კურსი შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციის მიმართულებით. ჯარი იქნება თავისუფალი პოლიტიკური კონიექტურისგან. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ადამიანები, რომლებმაც თავისი ჯანმრთელობა ქვეყნის უსაფრთხოებას შესწირეს. სამინისტროს მხრიდან ამ ადამიანების მიმართ ყოველთვის იქნება სათანადო ყურადღება. ამასთანავე, ჩემი მმართველობა კანონის უზენაესობას და გამჭირვალობას დაეფუძნება. საზოგადოება იქნება საქმის კურსში იმ პროცესებზე რაც წარიმართება სამინისტროში", – განაცხადა ჯანელიძემ. (ნიუპოსტი)

## „მაია ფანჯიკიძე დიდი ხნის წინ უნდა გადამდგარიყო“



ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე მაია ფანჯიკიძის გადადგომას ეხმაურება:

„მე ვფიქრობ, ქალბატონი მაია ფანჯიკიძე დიდი ხნის წინ უნდა გადამდგარიყო და, რაც მთავარია, ის ამ თანამდებობაზე საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ მე აქ ვერ ვხედავ რაიმე პრობლემას ქვეყნისთვის. მიმაჩნია, რომ უკანასკნელი მოვლენები დაგვიანებულია, ეს არის ხელისუფლების ძალიან სერიოზული პოლიტიკური უზუსტობა. იმედია, პროცესი გაცილებით უფრო გათვლილი იქნება. ახლა მასშტაბური პოლიტიკური გადაწყვეტილებების დროა. პირველ რიგში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც ახალი რეალობა უნდა შექმნას და ყველაფერი თავის ადგილზე დააყენოს. შესაძლებელია გაცილებით მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მოხსნის ამ ბოლშევიკურ დაპირისპირებას ქვეყანაში. საკმაოდ ჭრელი კოალიცია, მისი მეთაურის ინიცირებით დაიშალოს.

ამ ეტაპზე არ იქნება ურიგო, თუ რიგი შეთანხმება მოხდება პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის. თუ ჩვენ მივიღებთ ისეთივე შეთანხმებას, როგორც ეს ფრანკოს დამხობის შემდეგ ესპანეთში მოხდა, როდესაც პოლიტიკური ძალები ჩამოყალიბდნენ ქვეყნის მომავლაზე, თამაშის წესებზე და ა.შ. 2016 წლამდე სულაც არ იქნება ურიგო, თუ ძლიერი პოლიტიკური ცვლა მოხდება, თუ „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად კოალიციას ჩამოაყალიბებს და ამ მძიმე მდგომარეობას ისე გადაიტანს, რომ რყევები არ იქნება. შეიძლება, ეს უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს უკვე სხვა პოლიტიკაა, რომელიც მოხსნის კონფრონტაციას, დიდ შერიგებას და შეთანხმებას დაედება საფუძველი. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულში ეჭვმიტანილი ლიდერები იზოლირებულები იქნებიან“, – განაცხადა გიორხელიძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „საქართველოს საგარეო კურსი საფრთხის ქვეშაა“



შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, კარლ ბილდტი თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანიას გადაყენების საკითხს ეხმაურება.

„სერიოზული პოლიტიკური კრიზისია საქართველოში. შეტევა თავდაცვის მინისტრზე მისი თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა. ქვეყნის კურსი საფრთხის ქვეშაა“, – წერს ბილდტი „ტვიტერზე". (ნიუპოსტი)

## რატომ იყო თათა ვარდანაშვილი პოლიციაში?



გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თათა ვარდანაშვილი პროკურატურაში დაკითხვაზე იმყოფება სიმართლეს არ შეესაბამება. ფაქტი თავად დიზაინერმა „პირველ რადიოსთან“" საუბარში უარყო. ვარდანაშვილის განმარტებით საწარმოში თანამშრომლებს შორის მოხდა დაპირისპირება, რის შემდეგაც ადგილზე საპატრულო პოლიცია იქნა გამოძახებული. ვარდანაშვილის განმარტებით საწარმოს ხელმძღვანელობა და ადმინისტრაციის თანამშრომლები საპატრულო პოლიციაში განმარტებებისთვის იყვნენ მისულები. (პირველი რადიო)

## რას ელოდება კრემლი?



ანალიტიკოს სტანისლავ ბელკოვსკიმ „მაესტროსთან“ საუბარში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი შეაფასა:

„მგონია, რომ საქართველოს არ გადაუხვევია დასავლური კურსიდან და არც გადავა. მეორე საკითხია ის, რომ შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, ყოფილი პრეზიდენტის დევნა და მიმდინარე მოვლენები, რა თქმა უნდა, საქართველოს ფასს ევროატლანეტიკურ სტრუქტურებში ამცირებს. დასავლეთში ამბობენ, რომ სანამ საქართველო შეწყვეტს პოლიტიკურ დევნას, სჯობს, დასავლური ინტეგრაცია შეაჩერონ. მგონია, რომ თავდასხმა ალასანიაზე მისი პოლიტიკური ამბიციის გამოა. ის მომავალში უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობისთვის ემზადება და ამ კუთხით ძალიან არაკომფორტული ფიგურა იყო მოქმედი საპარლამენტო უმრავლესობისთვის. დაინტერესებულია თუ არა ამით რუსეთი? რა თქმა უნდა. კრემლისთვის ყოველთვის კარგია, როდესაც რომელიმე ქვეყანა ევროპას სცილდება. საერთოდ, როდესაც რომელიმე პოსტსაბჭოურ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, შემდეგ ლიდერები პუტინის მკლავებში აღმოჩნდებიან ხოლმე, იმიტომ, რომ ის ალტერნატიული დამამშვიდებელია ყველასთვის, ვისაც უნდოდა მაღალი სტანდარტები, მაგრამ ვერ შეძლო. რა თქმა უნდა, კრემლი ახლა ელოდება, რომ საქართველო რუსეთს დაუახლოვდება და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი შენელდება", – განაცხადა ანალიტიკოსმა. (ფრონტნიუსი)

## „მინდა, ვთქვა ის, რაც არ თქვა ალასანიამ“



„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე თავდაცვის ექსმინისტრ ირაკლი ალასანიას ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

„მინდა, ვთქვა ის, რაც არ თქვა ალასანიამ და ამით წააგო. პროკურატურაზე რომ თქვა, საგარეო კურსს ებრძვისო, საქართველოში ყველამ კარგად იცის, რომ პროკურატურა მოწმესაც კი ვერ იბარებს დაკითხვაზე ისე, თუ ღარიბაშვილს არ შეუთანხმა. ასეთი მოარული ხმა არსებობს, ყოველი შემთხვევისთვის.

რამდენი საქმეა, რომლითაც არ დაინტერესდა პროკურატურა. გაიხსენეთ ტრაქტორების საქმე, რომელიც პროკურატურის მიერ იყო დავალებული და რეალურად არაფერი იყო გამოსაძიებელი. როცა უსუფაშვილი ამბობს, ახია ჩვენზე, ორი წლის მერეც რომ ფარულ მოსმენებზე გვიწევს საუბარიო, არამარტო ეს არის ახი! კოალიცია ეკლექტური იყო და ერთმანეთს, როგორც პოლიტიკურ კონკურენტებს, ისე უყურებდნენ. არ აერთიანებთ მათ საერთო ფასეულობები. როცა ამბობენ, რომ ალასანიას საქმე ისე ვერ დასრულდებოდა, როგორც ტრაქტორების საქმე, მაშინ ის საქმე რატომ დასრულდა ასე? სად იყო ალასანია მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრი დაჭერებზე მორატორიუმს აცხადებდა? რამდენი ასეთი მოქმედება იყო, რომლებზეც არ ისაუბრა ალასანიამ მთელი ამ ხნის განმავლობაში და ამით წააგო“, – განაცხადა პეტრე მამრაძემ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პრემიერი „თავისუფალ დემოკრატებს“ საბოტაჟის მცდელობაში ადანაშაულებს



პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ვერავინ მოახერხებს საკუთარ თავზე მიიწეროს ქვეყნის საგარეო ორიენტაცია:

„სახეზეა, რომ დამახინჯებული გზით მიჰყავთ ჩვენი მთავრობის ყოფილ წევრებს აღნიშნული პროცესი. მსურს გითხრათ, ჩვენი ხელისუფლება და მთავრობა განუხრელად ადგას ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსს, ეს კურსი არის ურყევი. ეს არის ჩვენი ხალხის მტკიცე არჩევანი. ვერავინ მოახერხებს საკუთარ თავზე მიიწეროს ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაცია. ხალხის არჩევანით სპეკულირება მიუღებელია, ეს არის ჩვენი ხალხის შეურაცხყოფა. 2012 წელს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ ნდობის მანდატი „ქართულ ოცნებას“ მისცა. სწორედ ამიტომ, მათ ეს ნდობის მანდატი კიდევ ორჯერ დაამტკიცეს. ეს ცალკე აღებული არც ერთი პოლიტიკოსის დამსახურება არ იყო. სწორედ ასეთი გაუაზრებელი, ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებით საფრთხე ექმნება ჩვენს სახელმწიფოს და მის ევროპულ არჩევანს. საზოგადოებისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებებს, აკეთებენ ერთი პოლიტიკური პარტიის წევრები, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები და არჩევანს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის აკეთებენ. გამოძიების პროცესის შეფერხება არის დაუშვებელი, ჩვენი სახელმწიფო არ მისცემს უფლებას არავის, რომ ობიექტურად დაწყებული გამოძიება დამახინჯებულად წარიმართოს. ამ ვითარებაში პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთებული განცხადებები ატარებს სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟის ნიშნებს. დღეს ჩვენი სახელმწიფო არის ძლიერი. დღეს სახელმწიფოს ინსტიტუტები მუშაობენ გამართულად“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „მოვუწოდებ ყველა ელჩს, გააგრძელოს მუშაობა“



საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მაია ფანჯიკიძე მოუწოდებს ყველა ელჩს, გააგრძელოს მუშაობა, რომ საქმე არ დაზიანდეს.

„ელჩების თანამდებობის დატოვების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. ყველა მათგანი დამოუკიდებელი ფიგურაა და თავად გადაწყვეტენ, რა უნდა გააკეთონ. მოვუწოდებ ყველას, გააგრძელოს მუშაობა, რათა საქმე არ დაზიანდეს“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. ელჩების გადადგომის შესახებ ინფორმაცია მაია ფანჯიკიძის პოსტიდან წასვლის შემდეგ გავრცელდა. როგორც ცნობილია, საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა ნატო-ში ლევან დოლიძემ პოსტი უკვე დატოვა. (ნიუპოსტი)

„თავისუფალი დემოკრატების“ მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვება ბევრ რამეს რადიკალურად შეცვლის. საპარლამენტო კრიზისი, სავარაუდოდ, სახეზეა და ვნახოთ, როგორ და სადამდე გაღრმავდება ეს კრიზისი. კოალიციის დატოვება თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ ალასანიას გუნდი პარლამენტშიც გაემიჯნა ირაკლი ღარიბაშვილის პარტიას. ბოლო მომენტამდე პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ უბრალო უმრავლესობა ჰყავდა, ეს კი დეპუტატთა სიითი შემადგენლობის მხოლოდ ნახევარზე მეტს ნიშნავს. მოგეხსენებათ, ჩვენს პარლამენტში 150 დეპუტატია, მათი ნახევარი 75 დეპუტატია და შესაბამისად, 75 პლუს 1, ანუ 76 დეპუტატი სჭირდება უბრალო უმრავლესობას. პრემიერ-მინისტრის გუნდი კოალიცია „ქართული ოცნება“ პარლამენტში 6 ფრაქციითა და 83 დეპუტატით მოაკლდა კოალიციას, შესაბამისად, 73 დეპუტატი დარჩება და თუ პარლამენტში უმრავლესობა არ დაიბრუნა, კარგს არაფერს მოუტანს. ამას იურისტი ლევან ალაფიშვილი ასე შიფრავს:

ეს ნიშნავს, რომ მთავრობას აღარ ექნება პარლამენტის (სიითი შემადგენლობის უმრავლესობის) მხარდაჭერა, პარლამენტში აღარ იარსებებს საპარლამენტო უმრავლესობა (სიითი შემადგენლობის ნახევარი მაინც), პარლამენტის ცალკე აღებული ვერც ერთი ჯგუფი, როგორი მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს, ვერ შეძლებს ორგანული კანონის მიღებას (სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი), პარლამენტის ერთი რომელიმე ჯგუფი ვერ შეძლებს ბიუჯეტის მიღებას (სიითი შემადგენლობის უმრავლესობა), რომელიმე, მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა შეიძლება მოახერხოს კანონის (პლენარულ სხ-



„ნაციონალები“ ოცნებობდნენ, რომ ირაკლი ალასანიას დემარშს და მისი პარტიის ოპოზიციაში გადასვლას, „რესპუბლიკური პარტიაც“ შეერთებოდა და „ნაცმოძრაობის“ გარშემო ახალი უმრავლესობა შექმნილიყო. მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალათ, რადგან „რესპუბლიკელები“ ირაკლი ალასანიას მიერ განხორციელებულ პროვოკაციას არ აჰყვნენ და ამ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი პოზიცია დაიკავეს

# პრეზიდენტი ვალდებული იქნება, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს

## რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში უმრავლესობის დასაბრუნებლად?

იყო წარმოდგენილი („ქართული ოცნება“ – 45, „კონსერვატორები“ – 6, „ეროვნული ფორუმი“ – 6, „მრეწველები“ – 6, „თავისუფალი დემოკრატები“ – 10, „რესპუბლიკელები“ – 9). მოკლედ, „ქართულ ოცნებას“ თავი ქუდში ჰქონდა და ნებისმიერ კანონს, გარდა საკონსტიტუციო ცვლილებებისა, უპრობლემოდ იღებდნენ. მეტიც, მთავრობის დამტკიცებასა და ბიუჯეტის მიღებასაც ეს 76 ხმა სჭირდებოდა, მეტი არა. ამიტომ, კოალიციას ხმები სამათხოვროდ არასდროს გახდომია და ოპოზიციურ ძალებთან გარიგებაზე არ წასულა. ახლა კი, ვითარება შეიძლება შეიცვალოს, რადგან დაზუსტებული ინფორმაციები, „თავისუფალი დემოკრატების“ რამდენი დეპუტატი დატოვებს კოალიციას, ცნობილი არ არის. თუკი 10 ხმა გადომაზე დამსწრეთა უმრავლესობა) მიღება, მაგრამ მანამდე მოუწევთ პლენარული სხდომის უფლებამოსილების კვორუმის მოგროვება, რაც პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენს.

„პრობლემები შეიძლება შეიქმნას ორგანული კანონის მიღების დროს, რადგან ჩვეულებრივი კანონის მიღებას ესაჭიროება დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არა ნაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ კოალიციას გამოვაკლებთ „თავისუფალი დემოკრატების“ 10 დეპუტატს, 73 ხმით მაინც არ ექნება უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“.

„თავისუფალი დემოკრატების“ პარლამენტის უმრავლესობიდან გამოსვლის შემდეგ, პარლამენტში შეიქმნება პრობლემები ორგანული კანონის მიღების დროს, მაგრამ დღეს ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც პარლამენტის წინაშე დგას, არის ბიუჯეტის მიღება, მით უფრო, კალენდარული წელი იწურება და ახალი ბიუჯეტის მიღების დრო მოვიდა.

„კონსტიტუციის თანახმად, თუ ბიუჯეტი არ იქნა მიღებული პირველ იანვრამდე, მთავრობას კიდევ ეძლევა ორი თვე იმისთვის, რომ წარმოადგინოს ბიუჯეტის ახალი პროექტი და თუ ორი თვის შემდეგაც არ იქნა მიღებული ბიუჯეტი, ეს ჩაითვლება მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებად და იწყება ახალი მთავრობის ფორმირება, რაც საბოლოო ჯამში, შეიძლება მივიდეს პარლამენტის დაშლამდე“, – აცხადებს კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი.

მანვე განმარტა, რომ, თუ პარლამენტი ვერ ჩამოაყალიბებს სასურველ მთავრობას, პრეზიდენტს ეძლევა უფლება, რომ დაითხოვოს პარლამენტი და დაინიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

ალაფიშვილი კი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება საპარლამენტო ხელისუფლებაშიც. უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე რჩება პოსტის გარეშე, რადგან პარლამენტში უმრავლესობა აღარ იარსებებს. უმრავლესობის არარსებობის პირობებში, თავისთავად, აღარ იარსებებს უმცირესობაც, შესაბამისად, სავარძლის გარეშე რჩება უმცირესობის ლიდერი, დავით ბაქრაძეც, უმრავლესობა-უმცირესობის არარსებობის პირობებში კი, თავისთავად მოხდება საპარლამენტო თანამდებობებისა და კვოტების გადახედვა და ბევრი კომიტეტის თავმჯდომარესა და მოადგილეს მოუწევს თანამდებობის დატოვება. პარლამენტის ხელმძღვანელობის საკითხიც ხელახალი განხილვის საგნად იქცევა – თავმჯდომარისა და ვიცე-სპიკერებისა.

„ნაციონალები“ ოცნებობდნენ, რომ ირაკლი ალასანიას დემარშსა და მისი პარტიის ოპოზიციაში გადასვლას, „რესპუბლიკური პარტიაც“ შეერთებოდა და „ნაცმოძრაობის“ გარშემო ახალი უმრავლესობა შექმნილიყო. მაგრამ ეს გეგმა ჩაეშალათ, რადგან „რესპუბლიკელები“ ირაკლი ალასანიას მიერ განხორციელებულ პროვოკაციას არ აჰყვნენ და ამ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი პოზიცია დაიკავეს. „ნაციონალებს“ პარლამენტში 3 ფრაქცია აქვთ და სულ 55 დეპუტატი ჰყავთ. ამათ „თავისუფალი დემოკრატებიც“ რომ

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*


# ლიბერთი ბანკმა სავაჭრო და მომსახურების ობიექტებისთვის ინოვაციური და მრავალფუნქციური ტერმინალი – EASYPAY შექმნა

ლიბერთი ბანკმა მრავალფუნქციური, ინოვაციური **EASYPAY** ტერმინალი შექმნა, რომლის გამოყენებითაც სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს შეუძლიათ მოიზიდონ მეტი მომხმარებელი, შესთავაზონ მათ სხვადასხვა სახის მომსახურება და გაზარდონ შემოსავლები.

**EASYPAY** ტერმინალის გამოყენებით, პარტნიორ ობიექტებში მომხმარებლებს შეუძლიათ, ბანკში მიუსვლელად გაგზავნონ ან მიიღონ ფულადი გზავნილები საქართველოს მასშტაბით, გადაიხადონ კომუნალური და სხვა ტიპის გადასახადები. ამასთანავე, მომხმარებელს ანგარიშსწორება შეუძლია როგორც ნაღდი ფულით, ასევე ნებისმიერი ბანკის მიერ გამოშვებული **VISA, MASTERCARD, Union Pay International** ბარათებით. დამატებით, ანგარიშსწორება, ასევე, შესაძლებელია ლიბერთი ბანკის მიერ გამოშვებული 1.4 მილიონზე მეტი ადგილობრივი ბარათით.




**EASYPAY** ტერმინალის საშუალებით სავაჭრო ობიექტები საბანკო ბარათებით გადახდებს მიიღებენ თანამედროვე სწრაფი ტერმინალით, რომელზეც გადასახდელი თანხის ოდენობა ავტომატურად, სავაჭრო ობიექტის მოლარის დამატებითი ჩარევის გარეშე აისახება. ტერმინალზე შესაძლებელია, ასევე, უკონტაქტო გადახდის მიღება იმ შემთხვევაში, თუ ბარათს აქვს უკონტაქტო გადახდის ფუნქცია.

ლიბერთი ბანკის მომხმარებლებს **EASYPAY** ტერმინალზე ბარათით გადახდის დროს, ლიბერთი კლუბში გაზრდილი რაოდენობის ქულები უგროვდებათ. შესაბამისად, მომხმარებელი მოტივირებულია, რომ გადაიხადოს სწორედ **EASYPAY**-ს პარტნიორ ობიექტებში (გაიგეთ მეტი **www.lbclub.ge**).

სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში მომხმარებელთა რაოდენობისა და გაყიდვების ზრდასთან ერთად, **EASYPAY**-ს პარტნიორი ობიექტი დამატებითი შემოსავლის სახით მიიღებს საკომისიო შემოსავალს თითოეული განხორციელებული ოპერაციიდან. შესაბამისად, რაც უფრო მეტ მომხმარებელს მოემსახურება **EASYPAY** ტერმინალი, მით უფრო მეტი შემოსავლის მიღების საშუალება აქვს **EASYPAY**-ს პარტნიორ ობიექტს.

**EASYPAY**-ს ახლო მომავალში ბევრი ახალი ფუნქციონალი დაემატება, ხოლო ტერმინალის ფუნქციონალის განახლება ძალიან მარტივია, პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსიის **Google Play**-დან ჩამოტვირთვით.

**EASYPAY** ტერმინალის განთავსება შეუძლიათ მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებს საქართველოს ნებისმიერ წერტილში. ამისთვის საკმარისია შეავსოთ შესაბამისი ფორმა ვებგვერდზე:

**http://libertybank.ge/EASYPAYAN**

დაუკავშირდეთ ჩვენს ცხელ ხაზს: *0322555500.*

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

დავუმატოთ, 65 კაცი გამოდის და უმრავლესობას – 76 დეპუტატს ვერანაირად ვერ აგროვებენ. ჰა, ჯანდაბას, „რესპუბლიკელებიც" რომ შეერთებოდნენ ირაკლი ალასანიას ავანტიურას თავიანთი 9 დეპუტატით, უმრავლესობას მაინც ვერ მოაგროვებდნენ, რადგანაც 65-ს 9 რომ დავუმატოთ, არის 74 და არა – 76. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, „ნაციონალთა" ოცნების ფრთის შესხმას ბევრი არ დააკლდებოდა. 2 დეპუტატს, „დამოუკიდებელი და მაჟორიტარი დეპუტატების" ფრაქციიდან გადმოიბირებდნენ და უმრავლესობას შექმნიდნენ. ამ ფრაქციაში 4 ყოფილი „ნაციონალია". ამ პარტიის მაჟორიტარებად შევიდნენ პარლამენტში და მერე გაემიჯნენ პარტიას. მოკლედ, იმის თამამად თქმა შეიძლება, რომ „რესპუბლიკელთა" პოზიცია, დარჩენილიყვნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში". გადამწყვეტი აღმოჩნდა და „ნაციონალებს", ბევრს რომ კაკანებდნენ, საპარლამენტო გადატრიალების გზით ვბრუნდებით ხელისუფლებაშიო, „რესპუბლიკელების" პოზიციის გახმაურების მერე, ხმა ჩაუწყდათ.

მოვლენებს რომ გავყვეთ, როგორც ჩანს, ირაკლი ალასანიასა და მისი გუნდის გეგმა ის იყო, რომ საპარლამენტო კრიზისი სამთავრობო კრიზისში გადაეზარდათ, 7 მინისტრი გადამდგარიყო, დღის წესრიგში ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება დამდგარიყო. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თავისი გუნდით თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. მინისტრთა კაბინეტში, პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, 20 მინისტრია. კონსტიტუციით, ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია, გადადგეს მინისტრთა საერთო რაოდენობის 1-3, მაგრამ არანაკლებ 7 მინისტრისა. მოკლედ, ირაკლი ალასანიას, როგორც ჩანს, დიდი იმედი ჰქონდა, რომ ამას მიაღწევდა, 7 მინისტრს გამოაცლიდა კაბინეტს. ამის შემდეგ კი, ირაკლი ღარიბაშვილი ავტომატურად ჰაერში აღმოჩნდებოდა, რადგან ახალ მინისტრთა კაბინეტს, პარლამენტი ველარ დაამტკიცებდა, რადგან უმრავლესობა აღარ არსებობს პარლამენტში.

მოდით, ვნახოთ, რა გეგმა ჰქონდა ირაკლი ალასანიას, როგორ აპირებდა იმის განხორციელებას, რაც ზემოთ მოგახსენეთ. თავად ალასანია გადადგა, მას მიჰყვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი, მერე – ალასანიას ცოლისდა, საგარეო საქმეთა მინისტრი, მაია ფანჯიკიძე. ეს უკვე სამი გადამდგარი მინისტრია. „თავისუფალი დემოკრატები", ალბათ, ფიქრობდნენ, რომ გადადგებოდა მათი ყოფილი თანაპარტიელი, იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი, ასევე, განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, რომელიც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პროტეჟეა. თუ კოალიციას „რესპუბლიკელებიც" დატოვებდნენ, თავისთავად გადადგებოდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, „რესპუბლიკელი" პაატა ზაქარეიშვილი. მათი გაათვლებით, პოსტი შესაძლოა, კულტურის მინისტრს, მიხეილ გიორგაძესაც დაეტოვებინა, რადგან ის, გავრცელებული ინფორმაციით, „რესპუბლიკელთა ლობირებით გახდა მინისტრი. თუმცა, წაღმა დატრიალებული კარუსელი გაჩერდა. ირაკლი ალასანიას, მაია ფანჯიკიძესა და ალექსი პეტრიაშვილს, თეა წულუკიანი კი არ მიჰყვა, ის დარჩა მინისტრის პოსტზე. „რესპუბლიკელების" გონივრული პოზიციის შემდეგ, თავისთავად, პოსტები არ დატოვეს პაატა ზაქარეიშვილმა, მიხეილ გიორგაძემ, არც თამარ სანიკიძე გადაჰყოლია თან ირაკლი ალასანიას ამბიციებს.

შესაძლოა, ეს საკითხი, მხოლოდ დროებით დაიხურა. „რესპუბლიკელებმა" ირაკლი ალასანიას სოლიდარობა გამოუცხადეს, მათ ბევრი საერთო აქვთ და, როგორც ხშირად თავადვე აცხადებდნენ ხოლმე, საერთო ღირებულებები აერთიანებთ. ისიც ცხადია, რომ ირაკლი ალასანია კიდევ გააგრძელებს ამ მიმართულებით ბრძოლას, შესაბამისად, „რესპუბლიკელებთან" მოლაპარაკებებს" და არ არის გამორიცხული, ის სცენარი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ერთ მშვენიერ დღეს მართლა განხორციელდეს. ალასანიას პრეზიდენტი მარგველაშვილიც თანამოაზრედ ეგულება და შესაძლოა, მასთანაც დაიწყოს მისვლა-მოსვლას. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია. რეალობა კი ეს არის – ირაკლი ალასანიას პოლიტიკური საბოტაჟი იმით დასრულდა, რომ საქართველოს პარლამენტი, ჯერჯერობით, უმრავლესობის გარეშე დარჩა. მართალია, სამთავრობო კრიზისამდე საქმე ვერ მიიყვანა, მაგრამ „ქართულ ოცნებას" ჯერჯერობით, სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ახლა ირაკლი ალასანია და მისი გუნდი ოპოზიციაში დარჩნენ თავიანთი 3 გადამდგარი მინისტრით.

მოდით, „რესპუბლიკელების" გარდა, ის მინისტრებიც ვახსენოთ, რომელთა ერთგულებაც კოალიციის მიმართ, ამ აურზაურის პერიოდში, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა: გიორგი კვირიკაშვილი, კახი კალაძე, ელგუჯა ხოკრიშვილი, ნოდარ ხადური, გელა დუმბაძე, დავით შავლიაშვილი, ლევან ყიფიანი, ოთარ დანელია, ალექსანდრე ჭიკაიძე, დავით სერგეენკო, გიორგი მღებრიშვილი და სოზარ სუბარი. ირაკლი ღარიბაშვილი ამ ხალხს შეუძლია ბოლომდე დაეყრდნოს, ეს გუშინდელმა მოვლენებმაც დაადასტურა.

ლოგიკურად, შემდგომი პროცესები ასე უნდა განვითარდეს. თუ კიდევ რაიმე არაორდინალური არ მოხდა ქართულ პოლიტიკაში და პროცესები თვითდინებით განვითარდა, „ქართული ოცნება" მხოლოდ მაშინ შეძლებს პარლამენტში ახალი უმრავლესობის შექმნას, თუ მურმან დუმბაძე, გია გაჩეჩილაძე და კობა დავითაშვილი შემოირიგა, ასევე, უპარტიო მაჟორიტარების ექვსკაციანმა ფრაქციამ მათ მხარი დაუჭირა. მართალია, ამ ფრაქციაში პორტირებული „ნაციონალებიც" არიან, მაგრამ მათ კოალიციის არაერთი კანონპროექტისთვის დაუჭერიათ მხარი ადრე. ეს უკვე 9 დეპუტატია და ბალანსის აღსადგენად, მხოლოდ 1 დეპუტატი სჭირდება „ქართულ ოცნებას" და უმრავლესობასაც დაიბრუნებს. ეს 10 დეპუტატი ჩაენაცვლება კოალიციიდან წასულ „თავისუფალ დემოკრატებს".

კულუარული ინფორმაციით, ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყო „ქართულმა ოცნებამ". თუმცა, შესაძლოა, ამდენი ჯახირი არც დასჭირდეს ირაკლი ღარიბაშვილს, რადგან გუშინ გვიან ღამით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანიას გუნდის წევრები გელა სამხარაული, ვიქტორ ჯაფარიძე და გედეონ ფოფხაძე არ ტოვებენ კოალიციას და „ქართულ ოცნებაში" რჩებიან. ამ შემთხვევაში, კოალიციას უმრავლესობის დასაბრუნებლად მხოლოდ 7 დეპუტატიღა დასჭირდება. თუ ეს ვერ შეძლეს კოალიციის მესვეურებმა, მაშინ პარლამენტი უმრავლესობის გარეშე რჩება და აქედან გამომდინარე, პარლამენტი ვერ შეძლებს 2015 წლის ბიუჯეტის მიღებას, პრეზიდენტი კი ვალდებული იქნება, პარლამენტი დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს. შესაძლოა, გაზაფხულისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს და ამ არჩევნების შემდეგ, „თავისუფალ დემოკრატებსა" და „ნაციონალებს" ახალ პარლამენტში თითზე ჩამოსათვლელი მანდატები ერგებათ. ირაკლი ალასანია ამ 10-კაციან ფრაქციასაც ბიძინა ივანიშვილს უნდა უმადლოდეს, იმ ივანიშვილს, რომელთანაც გუშინ „ქართული ოცნების" ოფისში საუბარიც კი არ იკადრა. ივანიშვილმა ზურგზე მოიკიდა ალასანია და მისი გუნდი და ისე შეათრია პარლამენტში. ურეიტინგო „თავისუფალ დემოკრატებზე" აღარაფერს ვიტყვი, ალასანიას წონა და რეიტინგი 2012 წელს, ზუგდიდის მაჟორიტარული არჩევნებისას გამოჩნდა, სადაც ალასანიამ არჩევნები როლანდ ახალაიასთან წააგო. ეს იმ დროს, როცა „ციხის კადრები" უკვე გამოქვეყნებული იყო და როლანდის ვაჟები, ბაჩო და დათა ახალაიები, გასაქცევად ემზადებოდნენ. მერე აკი გაიქცნენ კიდეც საქართველოდან. როლანდ ახალაიამ, პოლიტიკურად გაკოტრებულმა, რომელიც გაძლიერებული დაცვის გარეშე ვერ გადაადგილდებოდა ზუგდიდში, სწორედ ირაკლი ალასანია დაამარცხა და დიდი სირცხვილი აჭამა „ქართულ ოცნებას".



**შესაძლოა, გაზაფხულისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს და ამ არჩევნების შემდეგ, „თავისუფალ დემოკრატებსა" და „ნაციონალებს", ახალ პარლამენტში თითზე ჩამოსათვლელი მანდატები ერგებათ. ირაკლი ალასანია ამ 10-კაციან ფრაქციასაც ბიძინა ივანიშვილს უნდა უმადლოდეს, იმ ივანიშვილს, რომელთანაც გუშინ „ქართული ოცნების" ოფისში საუბარიც კი არ იკადრა. ივანიშვილმა ზურგზე მოიკიდა ალასანია და მისი გუნდი და ისე შეათრია პარლამენტში**



**მოვლენებს რომ გავყვეთ, როგორც ჩანს, ირაკლი ალასანიასა და მისი გუნდის გეგმა ის იყო, რომ საპარლამენტო კრიზისი სამთავრობო კრიზისში გადაეზარდათ, 7 მინისტრი გადამდგარიყო, დღის წესრიგში ახალი მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება დამდგარიყო. ეს თავისთავად ნიშნავდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თავისი გუნდით თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა**

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „რაც მოხდა, ივანიშვილისთვის მოულოდნელი არ ყოფილა"



ეკონომიკის ყოფილი მინისტრი კახა ბენდუქიძე მინისტრების გადადგომის თემას „ფეისბუკზე" ეხმაურება:

„მესმის ხმები – აი, ახლა მივიღებთ შესანიშნავ პროდასავლურ პლურალისტულ პარლამენტს/2016 წლის არჩევნების გამარჯვებული გამოვლინდა/ შემდეგ არჩევნებზე „ქართული ოცნება" ხელისუფლებიდან წავა/ და ა.შ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ყველაფერი არის სურვილები და არა რეალობა. საქართველოში პოლიტიკური (ელექტორალური) პროცესი ამჟამად შეჩერებულია, და ივანიშვილის გეგმაში არ შედის მისი რეანიმაცია. დარწმუნებული ვარ, რომ რაც მოხდა, არ იყო მისთვის მოულოდნელი და არც მის გეგმებს შეცვლის, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს", – წერს ბენდუქიძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა პოლიტსაბჭოს სხდომა უკომენტაროდ დატოვეს



კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა და ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების" შენობა უკომენტაროდ დატოვეს. მათ შენობა სათადარიგო გასასვლელიდან დატოვეს. სხდომაზე „თავისუფალი დემოკრატების" კოალიციიდან გასვლის საკითხი განიხილებოდა.

სხდომის დაწყებიდან რამდენიმე წუთში „თავისუფალმა დემოკრატებმა" „ქართული ოცნების" შენობა დატოვეს და განაცხადეს, რომ მათი პარტია კოალიციის რიგებიდან გავიდა. (ნიუპოსტი)

## „ნაციონალები" პრეზიდენტს პარლამენტის სხდომის მოწვევას სთხოვენ

გიორგი ბარამიძის განცხადებით, საქართველოში სერიოზული, მძიმე კრიზისია, არსებობს ანექსიისა და ახალი ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე და იმისთვის, რომ სახელმწიფო სტრუქტურები არ ჩამოიშალოს და ქვეყანა მშვიდად და სტაბილურად განვითარდეს, მსჯელობა უნდა გაიმართოს.

„ჩვენ მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, სასწრაფოდ მოიწვიოს საქართველოს პარლამენტის სხდომა, სადაც განხილული იქნება ზემოაღნიშნული პრობლემები და შევეცდებით, ყველამ, ვისაც შეგნებული გვაქვს მდგომარეობის სირთულე, და ამ პრობლემების სიმძიმე, ხელი შევუწყოთ ქვეყნის მშვიდობიანად და სტაბილურად განვითარებას", – განაცხადა ბარამიძემ. (ნიუპოსტი)

# რა მოხდა გუშინ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე...

**ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიას უთხრა... შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს მიუბრუნდა... ეს ფრაზები საკმარისი აღმოჩნდა, ირაკლი ალასანია ამდგარიყო და პოლიტსაბჭოს სხდომა დაეტოვებინა**



**ღარიბაშვილს ულტიმატუმს უყენებენ, თუ გადაწყვეტილების მიღებისას იქნება კონსენსუსი და ვერ მიიღებს ღარიბაშვილი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად, უსუფაშვილის გარეშე, მაშინ მათ უღირთ კოალიციაში დარჩენა, თუ არადა, ისინი კოალიციაში არ რჩებიან**

„თავისუფალი დემოკრატები“ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ტოვებენ, ირაკლი ალასანიამ ნატოს ნილაბი მოირგო და საქართველოს ხელისუფლება პროდასავლური გზიდან გადახვევაში დაადანაშაულა. სწორედ ირაკლი ალასანიას გუნდი იყო პასუხისმგებელი ქვეყნის საგარეო კურსის განსაზღვრაზე. მისი გუნდის წევრებს ებარათ ევროინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ჩვენ გვახსოვს პრემიერსა და პრეზიდენტს შორის დავა, ვის უნდა მოეწერა ხელი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. თუკი პრემიერ-მინისტრი ოდნავ მაინც ოცნებაში ეწინააღმდეგებოდა დასავლურ გზას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტზე საკუთარ ფაქსიმილეს არ დატოვებდა.

მინისტრის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება. რატომ გაავლო ასეთი საბედისწერო წყალგამყოფი მის გუნდსა და დანარჩენ ხელისუფლებას შორის? იმალება თუ არა უფრო დიდი დანაშაული ალასანიას პოლიტიკური განცხადებების მიღმა? რატომ აიძულა საკუთარი გუნდი, ხელისუფლების ინტერესი გადაეყოლებინა თავდაცვის სამინისტროში აღმოჩენილ კორუფციულ ფაქტებს. გადააყოლოს, მაგრამ, თუკი კორუფციული ფაქტები დადასტურდა, მაშინ გამოდის, ბიუჯეტიდან მოპარული ფულის შერჩენისთვის იბრძვის და უბრალო პოლიტიკური სპეკულანტია, მისი გუნდის წევრები კი თანამზრახველები და დანაშაულის დამფარველები. იქნებ იცის, რომ გამოძიება მასაც მიუკაკუნებს და იცოდეს ირაკლი ალასანიამ, რადგან ამის კლასიკური ნიმუში სულ რამდენიმე წლის წინათ მოხდა, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გადადგა და მას იპოდრომზე გრანდიოზული შეხვედრა მოუწყო საზოგადოებამ, თუმცა ამ შეხვედრის შემდეგ სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში მრავალი წერტილი გაჩნდა. პოლიტიკურ დემარშში თავდაკარგულები და გადაკარგულები, – აი, ასეთი იქნება ალასანიასა და მისი გუნდის წევრების უახლოესი პოლიტიკური მომავალი. ალასანიას გუნდის შიგნით აზრთა სიმბიოზი რომ არ არსებობს, ეს დღეს კიდევ კარგად გამოჩნდა. კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არ ტოვებს მისი პოლიტიკური გუნდის სამი წევრი – ჯაფარიძე, სამხარაული, გედევან ფოფხაძე და რაც მთავარია, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ირაკლი ალასანიას ცივი წყალი გადაასხა, როცა განაცხადა, არ გადავდგები, ევროპისკენ სვლაში ჩემთვის ხელი არავის არასოდეს შეუშლიაო. წულუკიანმა თავისი განცხადებით, ფაქტობრივად, გააშიშვლა ირაკლი ალასანია, როგორც პოლიტიკოსი და საზოგადოებას დაანახა, რომ მისი განცხადებები ბლეფია ევროატლანტიკური თემით სპეკულირების თაობაზე.

მაშ ასე, მეფე შიშველია, ალასანიას გაუჭირდება, დაამტკიცოს და თითი დაადოს ხელისუფლებაში პიროვნებას, რომელიც მას ევროატლანტიკური გზისკენ სვლაში ეწინააღმდეგებოდა, რადგან ასეთი უმაღლეს ეშელონებში არ მოიძებნება. დიდი მცდელობის მიუხედავად, თემა პოლიტიკურ ჭრილში გადაეგდო, ალასანიას, როგორც ჩანს, არ გამოუვა, ის ვერ დაჩრდილავს სამართლებრივ პროცედურას. ყველაზე მთავარი კითხვაა, სიმართლე როცა გაირკვევა, ბოლო-ბოლო ვინ გახდება დასაჭერი, ექს-მინისტრი ალასანია, თუ მთავარი პროკურორი?

ორი დღის მანძილზე, ბიძინა ივანიშვილი აქტიურად მართავდა შეხვედრებს მისი გუნდის წევრებთან. 4 ნოემბრის შეხვედრაზე მან დაუნდობლად გააკრიტიკა საკუთარი გუნდის წევრები, ხოლო 5 ნოემბერს პოლიტსაბჭოს შეხვედრაზე, სადაც ირაკლი ალასანიას გუნდის წევრებიც მივიდნენ, ეს შეხვედრა ალასანიასთვის ხერხემალში გადამტეხი აღმოჩნდა. ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიას უთხრა, შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს, დღეიდან სასამართლოში არკვიე საქმე, შემდეგ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრებს მიუბრუნდა ივანიშვილი და ჰკითხა, რატომ ეფარებით და რატომ იცავთ კორუმპირებულ ალასანიას? ეს ფრაზები საკმარისი აღმოჩნდა, ირაკლი ალასანია ამდგარიყო და პოლიტსაბჭოს სხდომა დაეტოვებინა, მისი გუნდის დაბნეული წევრები ცრემლებამდე მისულები აკეთებდნენ კომენტარებს.

**იურისტი ვალერი გელბახიანი, რომელიც ორი თვის წინ აცხადებდა, რომ ირაკლი ალასანიას დაიჭერდნენ, მაშინ ეს ბევრმა იუმორით აღიქვა, თუმცა რამდენიმე დღის წინ, თავდაცვის სამინისტროს უწყებაში ვალერი გელბახიანს ოსტატურად მოუძებნეს სახელი — „ვანგა“. გელბახიანმა ფსიქოლოგიურად მოგვამზადა და გვატყობინებდა, რას აპირებდა ხელისუფლება...**

**— პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ საბოტაჟთან, ალასანიას გუნდის წევრებმა დატოვეს მინისტრის პოსტები. პროცესის როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?**

– თუ ეს არის პოლიტიკური პროცესი, იურიდიულად გამიჭირდება კვალიფიკაციის მინიჭება, არის თუ არა ეს კლასიკური საბოტაჟი. საბოტაჟის მაკვალიფიცირებელი ნიშანი იურიდიულად ახლაც არის, რაც ხდება, ეს არის სახელმწიფოს დასუსტების მიზნით გადადგმული ნაბიჯები, როცა სახელმწიფო პარალიზდება, თუ ამ მინისტრების მიზანი არის სახელმწიფო ინსტიტუტების პარალიზება, რაც ასუსტებს სახელმწიფოს, მაგრამ ეს ცოტა რთული დასამტკიცებელია, ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია და კანონი მთავრობის უფლებამოსილების შესახებ, სადაც წერია, რომ ნებისმიერ თანამდებობის პირს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, გადადგეს, ეს არის კანონით განსაზღვრული. გადადგომა არის მინისტრის პოლიტიკური უფლება, მოტივს არ აქვს მნიშვნელობა, ამიტომაც ამ შემთხვევაში საბოტაჟზე საუბარი უადგილოა, საბოტაჟი შეიძლება იხმარო პოლიტიკურ ხარისხში და არა იურიდიულ ხარისხში. პოლიტიკურ საბოტაჟს სისხლის სამართლის ცნება არ იცნობს... ამ ქვეყანაში ბევრი რამ ვნახე, გამიჭირდება დითირამბების გამოცხობა ერთი ან მეორე პოლიტიკური მხარის მიმართ, რადგან ჩემთვის ცნობილია, არ ჩაცხრება ეს პროცესი, სხვა სერიოზული მსხვილი ფიგურებიც არიან სამიზნეში, როგორც ვიცი...

**— რა ინფორმაცია გაქვთ და ვინ არიან სამიზნეში?**

– მე მგონი, ერთ-ერთი თანამდებობის პირის მიმართ მალე დაიწყება ანალოგიური პროცესები.

**— ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს გულისხმობთ, რომელიც სააკაშვილის ბიზნესმენებთან აქტიურ ურთიერთობაშია შემჩნეული?**

– არ ვაკონკრეტებ, ეს კახი კალაძე იქნება თუ სხვა, თუმცა კუ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე



**თეა წულუკიანმა ირაკლი ალასანიას ცივი წყალი გადაასხა, როცა განაცხადა, არ გადავდგები, ევროპისკენ სვლაში ჩემთვის ხელი არავის არასოდეს შეუშლიაო. წულუკიანმა თავისი განცხადებით, ფაქტობრივად, გააშიშვლა ირაკლი ალასანია, როგორც პოლიტიკოსი და საზოგადოებას დაანახა, რომ მისი განცხადებები ბლეფია ევროატლანტიკური თემით სპეკულირების თაობაზე**

რატომ ცრუობს ირაკლი ალასანია და რატომ ცდილობს, სამართლებრივი საკითხები პოლიტიკურ ჭრილში გადაწყვიტოს? რატომ აყენებს პირად პოლიტიკურ ამბიციებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა? რას ნიშნავს მისი მინისტრების დემარში? არის თუ არა ეს პრემიერ-ამიტომ იძლიერებს პოლიტიკურ იმუნიტეტს თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელიც 5 ნოემბერს სამინისტროდან საპატიო დერეფნითა და ტაშით გამოაცილეს მისმა თანამშრომლებმა? შეიძლება იყო 15-წუთიანი ლიდერი, მაგრამ ვერასოდეს გახდე ერის ლიდერი. ეს უნდა

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „აშკარა გახდა, ვინ დადგება „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით 15 ნოემბრის აქციაზე“



„ერთიანი დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი აცხადებს, რომ „უკვე აშკარა გახდა, ვინ დადგება „ნაციონალური მოძრაობის“ გვერდით 15 ნოემბრის აქციაზე“.

„პრაქტიკულად, ირაკლი ალასანიამ გამოაცხადა, რომ მისი პოლიტიკური პარტნიორების შერჩევის ხაზი არ გადის დემოკრატიული პრინციპების ერთგულებაზე. ირაკლი ალასანიასგან არასდროს მოგვისმენია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელმაც პასუხი უნდა აგოს. ის იმის მიხედვით არჩევს პარტიას, რამდენადაა ის ნატოში გაწევრიანების მსურველი. „ნაციონალური მოძრაობა“ კი ასეთს უწოდებს თავს. აქედან გამომდინარე, ირაკლი ალასანიამ გუშინ ხაზი გაუსვა, რომ მისთვის მისაღებია ეს პარტია. ირაკლი ალასანიას ვიხილავთ 15 ნოემბრის აქციაზე და ეს დღე შეიძლება იქცეს ახალი პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბების დღედ“, – განაცხადა ახვლედიანმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქვეყანა უმძიმესი საფრთხეების წინაშე დგას“



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ქვეყანაში უმძიმესი პოლიტიკური ვითარებაა.

„მე არაერთხელ მითქვამს, რომ ის მოდელი, რომელიც „რესპუბლიკელებმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავს მოახვიეს ქვეყანას, სახელმწიფოს შეუქმნიდა სერიოზულ კრიზისს და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს კრიზისი სახეზეა. მთავრობა არის ურთულეს ვითარებაში და მე ძალიან მაშფოთებს ის განცხადებები, რომლებიც კეთდება ალასანიას, „ნაციონალური მოძრაობისა“ და სხვა გადამდგარი მინისტრების მხრიდან. ახლა ერთხმად იმის ძახილი, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, 15 ნოემბრის წინ, რომ თურმე ერთ კონკრეტულ სამინისტროში გამოძიების დაწყებამ ევროპულ და დასავლურ კურსს შეუქმნა საფრთხე, ძალიან ჰგავს მაიდანის სცენარის მომზადებას, რისთვისაც „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან დიდი ხანია, მუშაობს და რაზეც მე ვაფრთხილებდი ხელისუფლებას. ქვეყანა დგას უმძიმესი საფრთხეების წინაშე. თუ ხელისუფლებამ ახლა ვერ შეძლო ამ კრიზისის განმუხტვა და თუ არ გადადგა მწვავე და სერიოზული ნაბიჯები, ჩვენ შეიძლება, ქვეყანაში უმძიმესი დაპირისპირების მოწმენი გავხდეთ. დიდი საფრთხეა განახლებული „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მობრუნების და ეს „რესპუბლიკელებისა“ და ალასანიას განცხადებებმა ძალიან ნათლად დაგვანახვა“, – განაცხადა ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

*მეცხრე გვერდიდან*

ლისებში კორუფციის ნიშნები ჩანს. კახი კალაძე არამარტო სააკაშვილის ბიზნესმენებთან ალიანსში შეიმჩნევა, მეტიც, სერიოზული მითქმა-მოთქმებია, რომ არის სერიოზული კორუფციული სქემები, რომელშიც კალაძე ფარულად მონაწილეობს, მაგრამ ახლა რამდენად იქნება ეს საკითხი წინ წამოწეული და რამდენად დაუდებენ კალაძეს მომავალში ამას, როგორც ბრალდებას, დრო გამოაჩენს. თუ მთავრობა საკუთარ განცხადებაში ობიექტურია, როცა ის ამბობს, ჩვენს გუნდში არ უნდა იყოს ადამიანი, ვისაც ხელი წაუცდება მარჯვნივ ან მარცხნივო, მაშინ მესმის, რომ ისინი კორუფციასთან ბრძოლას უფრო წინ აყენებენ, ვიდრე პოლიტიკური ერთობის შენარჩუნებას. მაგრამ ესეც გამოიკვეთება, თუმცა ახლა ალასანიას მოღვაწეობა შევაფასოთ რამდენიმე სიტყვით... ალასანია და მისი გუნდი ამ ხელისუფლებაში დიდად მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა, მისი სამინისტრო არ გამოსულა რეფორმატორული ინიციატივებით, იმით ტრაბახი, რომ ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირებასთან ხელშეკრულებას, ამით „ნაციონალებიც" ტრაბახობენ, – ჩვენ მოვამზადეთ პროცესი და თქვენ ხელი მოაწერეთო. დასავლეთთან ურთიერთობაში ჩვენ ისეთი რამ არ მიგვილია, რაც მანამდე არ არსებობდა და ვერ ვიტყვით, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ამ საკითხში გარდატეხა მოხდა. განსაკუთრებით საგარეო კურსის მხრიდან, რომელიც ალასანიას გუნდს ებარა. ფანჯიკიძის უწყების მხრიდან პოზიტიური რეფორმა ვერ ვნახე. თუ ალასანიას გუნდი ასეთი ძლიერი იყო, რომ ევროპასთან და ამერიკასთან შეეძლო ურთიერთობების დამყარება ისე, რომ საფრთხეები არ წარმოშობილიყო, ეს ასე არ მომხდარა, პირიქით, ალასანიამ რუსეთი გამოიწვია, რამაც განაპირობა მათი მხრიდან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. ასე რომ, ალასანიას მთლად სატრაბახოდ არა აქვს საქმე, არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. მით უფრო, როცა არსებობს ბრალდებები კორუფციასთან დაკავშირებით.

**— და მაინც, როგორი იქნება ალასანიას მომავალი, ლიდერი გახდება ის თუ ტუსაღი?**

– ალასანიამ თავისი პოლიტიკური სვლა გააკეთა, თვითონაც კარგად იცოდა, რა ხდებოდა მის თავს, ამისთვის ემზადებოდა. უცეცხლოდ კვამლი არ ჩნდება, ეს ცეცხლი ენთო, ჯერ კიდევ თვითმმართველობის არჩევნების წინ მოვუწოდებდი ღარიბაშვილს, მთლიანად შეეცვალა მთავრობა და შეევსო თავისი პოლიტიკური კადრებით, ყოფილიყო მხოლოდ „ოცნების" მთავრობა და მას აეღო თავის თავზე პასუხისმგებლობა ყველა საკითხში, მაშინ ძალიან ადვილი იყო დასაბუთება იმისა, რატომ უნდა ემართა „ოცნების" გუნდს ხელისუფლება. სწორედ მაშინ ვწერდით, რომ 2014 წლის ნოემბერში მას მძიმედ დაუჯდებოდა შერეული მართვა. დააკვირდით დასავლელი პოლიტიკოსების შეფასებებს, თქვენ მოგწონთ მათი განცხადებები? ახლა ჩვენ რამდენიც არ უნდა ვლანძღოთ ალასანია და ვიძახოთ, რომ დამნაშავეა, სწორად მოიქცა მთავრობა, მე შეიძლება ნახევრად ვიყო დარწმუნებული მათ სიმართლეში, რომ თავდაცვის სამინისტროში ნამდვილად იყო საფუძვლები, დაეწყოთ სამართლებრივი დევნა პროკურატურას. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ იქ ნამდვილად იყო კორუფცია, მაგრამ პროკურატურის მოქმედება იმდენად ხისტი აღმოჩნდა, კაბელების საქმით დაიწყო და ჯარის კვებით გააგრძელა. პირიქით, უნდა დაეწყოთ, რადგან კაბელები აღმოჩნდა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი, ამიტომაც აღშფოთდა ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან ეს იყო ერთ-ერთი საიდუმლო პროექტი. პროკურატურის ამ საქმით დაინტერესებამ განაპირობა ის, რომ რუსეთის წისქვილზე დაესხა წყალი, პროკურატურას ჯარის კვებით უნდა დაეწყო საქმე, ტენდერებს იგებენ საეჭვო საფუძვლებით, ჯარისკაცები იწამლებიან, ეს თემა უკვე გახდებოდა საგანგაშო სიგნალი დასავლეთისთვის. მე ვიცი ფაქტი, 72-მილიონიანი ტენდერი მოიგო ელექტრონულ ტენდერში ადამიანმა, ხელშეკრულების გასაფორმებლად მივიდნენ, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ უთხრა უარი, კი მოიგეთ, მაგრამ ამ ტენდერს ვერ მოგცემთო და ელექტრონული ტენდერი მისცეს აბსოლუტურად სხვა პიროვნებას. ეს ფაქტი თუ მე ვიცოდი, სხვებისთვისაც ცნობილია. როცა მე ინტერვიუს გაძლევდით და ვამბობდი ალასანიას დაიჭერდნენ, იქვე ვამბობდი, რომ უამრავი დარღვევაა ელექტრონულ ტენდერებში, მეგონა, გამოძიებას ამ საქმით დაიწყებდნენ. ამ საქმეებით რომ დაწყებულიყო გამოძიება, არავითარი პოლიტიკური სარჩული არ მიეცემოდა ამ საქმეებს და ვერც ალასანია ამოიღებდა ხმას და ვერც მისი გუნდი.

ჩემი პროგნოზით შემდეგი სვლა იქნება ის, რომ ალასანიას, ალბათ, დააპატიმრებენ, რადგან ალასანიამ სხვა გზა არ დაუტოვა, მას უბრალოდ არ აპატიებენ იმ განცხადებას, რაც მან გააკეთა. როგორც ჩანს, ალასანია მზად არის, მიიღოს პოლიტპატიმრის სტატუსი, თუმცა იმ სტაბილურობას, რასაც ხელისუფლება გვპირდება, ვერ შეინარჩუნებენ ისე, თუ მკაცრ ღონისძიებებს არ მიმართავენ, რადგან უკვე დაძრულია პოლიტიკური პროცესი, მაგრამ, თუ ალასანია გარეთ დარჩება, თავისუფლებაში, ასეთ შემთხვევაში ის შეეცდება, თავისი პოლიტიკური პარტია გაააქტიუროს, დაიწყოს საქართველოს რეგიონებში სიარული, ხალხთან შეხვედრები, დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ ის არის მართალი, ხელს უშლიდნენ და მოიპოვოს მხარდაჭერა.

**— ირაკლი ალასანიამ არ გამორიცხა „ნაციონალებთან" თანამშრომლობა, პირდაპირ ეთერში განაცხადა ამის შესახებ, თუმცა მეორე დღეს ეს უარყო. „მე ვითანამშრომლებ ყველასთან, ვინც პროდასავლური გზით მიდის". ასევე, მახსენდება მიხეილ სააკაშვილის განცხადება სარფიდან, „არ მომწონს, როცა ჩემი თავდაცვის მინისტრს აგდებით ექცევიან, როცა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს უდიერად მოიხსენიებენ. ვინც თავს ხელისუფლებიდან გარიყულად გრძნობს, მათთვის ჩემი კარი ღიაა..." შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ალასანიამ სააკაშვილის მიწვევა მიიღო და ალასანია 15 ნოემბრის დაანონსებულ აქციას შეუერთდება?**

– პოლიტიკაში გამორიცხული არაფერი არ არის, ვიდრე ალასანიას „ნაცმოძრაობას" დავუკავშირებთ, მანამდე ვთქვათ, რა ხდება მთავარ გუნდში, პარლამენტში, თუ პარლამენტში არ არის მყარი უმრავლესობა, მაშინ ქვეყანაში სტაბილურობა არ არის და მთლიანად ქვეყანა იქნება პოლიტიკური სვლების მოლოდინის რეჟიმში. ამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ განვითარდება პარლამენტში პროცესები. „რესპუბლიკური პარტია" პოლიტსაბჭოზე შესვლის წინ აცხადებდა, ჩვენ მხოლოდ თემატურ საკითხებზე ვითანამშრომლებთ კოალიციის დანარჩენ ნაწილთანო, ეს კი ნიშნავს, რომ ისინი პოლიტიკურ ნაწილში არ თანამშრომლობდნენ, მაგრამ პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ითქვა, შევცვლით კოალიციის შიდა სტრუქტურას, გავატარებთ რეფორმას, რათა პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებული იქნას ერთობლივადო. ფაქტია, „რესპუბლიკური პარტია" პოლიტიკურად ვაჭრობს, ერთი მხრივ, ირაკლი ალასანიასთან, მეორე მხრივ, ირაკლი ღარიბაშვილთან. ღარიბაშვილს ულტიმატუმს უყენებენ, თუ გადაწყვეტილების მიღებისას იქნება კონსენსუსი და ვერ მიიღებს ღარიბაშვილი გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად, უსუფაშვილის გარეშე, მაშინ მათ ულირთ კოალიციაში დარჩენა, თუ არადა, ისინი კოალიციაში არ რჩებიან, „რესპუბლიკელები" ამბობენ, არც იქით ვართ, არც აქეთ, გააჩნია, საქმეს როგორ დასჭირდება.

ასე რომ, განცხადება, თითქოს პოლიტიკური კრიზისის ნიშნები არ არის, არ არის მართალი, პირველი კრიზისი შეიქმნა ალასანიას გადაყენებით, რამდენად წაადგება ეს ქმედება ქვეყნის სტაბილურობას, ეს სხვა საქმეა. მიმაჩნია, რომ ამ ფონზე, რაც ითვლება პოლიტიკური პროცესების მიხედვით პოლიტიკური წესრიგის დამყარებად და იმ სამართლებრივი მექანიზმების მიხედვით, რაც პოლიტიკაში მუშაობს, მთავრობა გადადგამს განსხვავებულ ნაბიჯს და სულ მალე ალასანიას დააპატიმრებს, ალასანიას დაპატიმრებას კი მოჰყვება პირდაპირი რეაქცია დასავლეთიდან, რადგან იქ დაპატიმრებას უყურებენ, როგორც პოლიტიკურ დევნას, მაგრამ, როგორც ხედავთ, ალასანია ხელისუფლებას სხვა გამოსავალს აღარ უტოვებს.



**„მე მგონი, ერთ-ერთი თანამდებობის პირის მიმართ მალე დაიწყება ანალოგიური პროცესები... არ ვაკონკრეტებ, ეს კახი კალაძე იქნება თუ სხვა, თუმცა კულისებში კორუფციის ნიშნები ჩანს. კახი კალაძე არამარტო სააკაშვილის ბიზნესმენებთან ალიანსში შეიმჩნევა, მეტიც, სერიოზული მითქმა-მოთქმებია, რომ არის სერიოზული კორუფციული სქემები, რომელშიც კალაძე ფარულად მონაწილეობს"**



**„თუ მთავრობა საკუთარ განცხადებაში ობიექტურია, როცა ის ამბობს, ჩვენს გუნდში არ უნდა იყოს ადამიანი, ვისაც ხელი წაუცდება მარჯვნივ ან მარცხნივო, მაშინ მესმის, რომ ისინი კორუფციასთან ბრძოლას უფრო წინ აყენებენ, ვიდრე პოლიტიკური ერთობის შენარჩუნებას"**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ქართული ოცნების" ოფისთან აქცია გაიმართა



„ქართული ოცნების" ოფისთან იპოთეკით დაზარალებულებისა და წალკის რაიონში მცხოვრები ეკომიგრანტების აქცია გაიმართა. მათი განცხადებით, 6 ათასამდე ეკომიგრანტი გამოსახლების საფრთხის წინაშე დგას. ისინი ხელისუფლებისგან ალტერნატიული ფართებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გამოყოფას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში პერმანენტული აქციებით იმუქრებიან.

აქციის მონაწილეებს დევნილთა მინისტრის მოადგილე შეხვდა. ის პრობლემებს ადგილზე გაეცნო და შეკრებილებს დახმარებას დაპირდა. (ნიუპოსტი)

## ტოვებენ თუ არა ბრიგადის გენერლები პოსტებს?

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი, ეკა შანიძე, უარყოფს ინფორმაციას, თითქოს სამხედრო ბრიგადის გენერლები თანამდებობას ტოვებენ.

„შეიარაღებულ ძალებში სრული სიმშვიდეა. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ გაავრცელებთ არასწორ ინფორმაციას, თითქოს ბრიგადების გენერლები თანამდებობებს ტოვებენ. ჯარი არის აპოლიტიკური და ვერანაირი პოლიტიკური კრიზისი ამ მთავარ მონაპოვარს ვერ შეარყევს!!!", – წერს შანიძე „ფეისბუკზე". (ნიუპოსტი)



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „კოალიცია უნდა არსებობდეს"



„რესპუბლიკური პარტიის" წევრის და სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის აზრით, „რესპუბლიკური პარტია" კოალიციაში უნდა დარჩეს.

„ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიცია უნდა არსებობდეს, იმიტომ, რომ ჩვენთვის მთავარია სახელმწიფო ინტერესები. კოალიცია „ქართული ოცნების" შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილი განხილვაში ჩართული იყო, თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა და კამათში მონაწილეობდა, ეს საკონსტიტუციო სტრუქტურა, ორგანო არ არის. შეხვედრა შეიძლებოდა, ნებისმიერ ადგილზე გამართულიყო. ივანიშვილი, როგორც „ქართული ოცნების" დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი, შეხვედრას დაესწრო და თავისი ხედვა და პოზიცია ჰქონდა. მან პრემიერობისდროინდელი პოზიციები გაიხსენა და უმრავლესობას, გარკვეულწილად, ანგარიშიც კი წარუდგინა, იმის შესახებ, რა ფესვები აქვს დღევანდელ მდგომარეობას", – ამბობს ზაქარეიშვილი. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# თავდაცვის ახალი მინისტრი უწყებაში აუდიტს შეიყვანს?

## რა საგანგებო მისიით მიავლინა ღარიბაშვილმა ჯანელიძე თავდაცვაში?

ირაკლი ალასანიას თანამდებობა მინდია ჯანელიძემ ჩაიბარა. ის ამ დრომდე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა. დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია, კონტრმზვერავი/იურისტი-სამართალმცოდნის სპეციალობით, დამატებითი სპეციალური განათლება მიღებული აქვს დასავლეთის ქვეყნებში. საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, 2012 წლიდან კი, ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის პერიოდში ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტს. სამხედრო წოდებით არის ვიცე-პოლკოვნიკი, მიღებული აქვს „ღირსების ორდენი“ და ასევე უწყებრივი ჯილდო მედალი „მაღალი პროფესიონალიზმისთვის“. ფლობს ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

**ახალ მინისტრს უწყებაში დახვდა „კაბელებისა“ და ჯარისკაცების მოწამვლის სკანდალური საქმეები და 11 დაპატიმრებული მაღალჩინოსანი. რა უნდა გააკეთოს პირველ რიგში მინისტრმა? რა მისიით დაინიშნა მინისტრად და რა უნდა მოიმოქმედოს ჯარში საბოტაჟის თავიდან ასაცილებლად?**

**„ალიას“ ესაუბრება ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაია:**

**— ბატონო ვახტანგ, შეიცვლება რამე ნატოსთან ურთიერთობაში ალასანიას მოხსნით და ალექსი პეტრიაშვილისა და ნატოში საქართველოს წარმომადგენლის, ლევან დოლიძის გადადგომით?**

– გარკვეული ტემპები ევროინტეგრაციის მიმართულებით შენელდება, მაგრამ მთლიანობაში, კურსი შენარჩუნებულია. ნატოს ახალი გენმდივანი აპირებს საქართველოს პრემიერთან შეხვედრას და შეიძლება შეფერხდეს მოკლე პერიოდის მანძილზე. ბუნებრივია, როცა სტრატეგიული პოლიტიკური ფიგურები გადადგებიან, ეს გარკვეულ გავლენას იქონიებს, მაგრამ არა იმდენად, რომ კურსი მთლიანად შეირყეს.

**— ალასანია ოვაციებით გააცილეს თანამშრომლებმა. ახალ მინისტრს ხომ არ გაუჭირდება მისი წინამორბედის კადრებთან ურთიერთობა?**

– მეც მენიშნა ეს მომენტი, მაგრამ არ მგონია, გაუჭირდეს, ერთი მხრივ, თანამშრომლებმა გამოხატეს მადლიერება მინისტრის მიმართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მინისტრს ვერ შეეწყობიან. ამ ეტაპზე პირველ რიგში ცუდი რეციდივები უნდა აღმოიფხვრას, თავდაცვის ახალ მინისტრს ამ კუთხით ძალიან რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი.

**— მაინც, რას უნდა მიხედოს პირველ რიგში, რა რეციდივებს გულისხმობთ?**

– საკმაოდ რთული თემაა, იმდენად ბევრი პრობლემაა. უნდა იქნას შესწავლილი, როგორ ვითარდებოდა ამ 2 წლის მანძილზე შეიარაღებული ძალები. თავდაცვის სამინისტრო არ იყო ღია, ის იყო ძალიან ჩაკეტილი. სამწუხაროდ, ამას განაპირობებდა ის, რომ არასამხედრო საქმეებს ედო გრიფი „საიდუმლო“ ისე, რომ საჭირო არ იყო.

მინისტრმა აუცილებლად უნდა მოიწვიოს აუდიტი, უნდა შეისწავლონ მიმდინარე ტენდერების საკითხები, რადგან ხმაურიანი საქმე დახვდა ტენდერთან დაკავშირებით, გასარკვევია, რა წერია დოკუმენტაციაში, რა ფინანსურ ურთიერთობებზეა საუბარი. სამინისტრო მუდმივად აწარმოებს შესყიდვებს და აუცილებელია ამ საკითხების შესწავლა. ვფიქრობ, მინისტრი ამას აუცილებლად განახორციელებს იქიდან გამომდინარე, რა განცხადებაც გააკეთა პრემიერმა „სილქნეტის“ ტენდერის საქმესთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, მას აქვს გარკვეული მისია, შეისწავლოს არსებული სიტუაცია ყველა რაკურსით, რა რეფორმები ხორციელდებოდა თავდაცვის სამინისტროში, შეესაბამებოდა თუ არა ეს რეფორმები თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების ტემპებს. ბოლოს და ბოლოს, თავდაცვა ბოლო დროს პიარზე იყო გადასული და ყველაფერი შესასწავლია, რა ხდებოდა სინამდვილეში სისტემაში.

**— ალასანია შეხვდა ამერიკის ელჩს, ნორლანდს და ისე დაიშალნენ, რომ არც ერთს არ გაუკეთებია განცხადება, რაზე ისაუბრეს, ხომ არ იცით? ეს უბრალო გამომშვიდობება იყო თუ, სავარაუდოდ, ალასანია ხელშეუხებლობის გარკვეულ გარანტიებსაც მოითხოვდა ელჩისგან?**

– გარანტიებზე საუბარი არ იქნებოდა, რადგან, როგორც სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი, ნორლანდი უნდა შეხვედროდა და გამომშვიდობებოდა ალასანიას. არანაირ გარანტიებზე არ იქნებოდა საუბარი, თუნდაც იმიტომაც, რომ არ ჩანს, თითქოს ალასანიას რამის ეშინოდეს, ის გადავიდა კიდეც კონტრშეტევაზე, თავისი თანამშრომლების უდანაშაულობაში სავსებით დარწმუნებულია. ამიტომ ეს გარანტიები მას არ სჭირდება, რადგან ის საქმეები, რომელსაც იძიებენ... ალასანია თვლის, რომ გამოავლენს იმ ობიექტურ რეალობას, რაც მას წარმოუდგენია. რა იქნება სინამდვილე ამას დრო გვაჩვენებს. ალასანიამ ამერიკის ელჩს გააცნო თავისი პოზიცია, მიდგომები და რახან დასავლეთის ექსპერტები დიდ შეშფოთებას გამოხატავენ, ის საქმის კურსში ჩააყენა.

**— ე.წ. კაბელების საქმეს დღემდე დიდი კითხვის ნიშნები აზის. შეუძლია თუ არა ახალ მინისტრს, გამარტივებული წესით მოხსნას გრიფი ამ საქმეს და თქვას, რა მოხდა სინამდვილეში, ჰქონდა თუ არა კორუფციულ გარიგებებს ადგილი რეალურად, რომ ალასანიას გუნდის სპეკულაციასაც დაესვას წერტილი და დასავლელმა პარტნიორებმაც შეშფოთება შეწყვიტონ?**

– რა თქმა უნდა, შეუძლია და ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება, რომ ყველაფერს ნათელი მოეფინოს, სიმართლე გაირკვეს. მე თუ მკითხავთ, ამ საქმეს გრიფი საერთოდ არ უნდა დასდებოდა. იმდენად დიდ პოლიტიკურ მოვლენასთან მივიდა საქმე, რომ უკვე დროა ამ გრიფის მოხსნა. ეს არ არის ტრაქტორების საქმე, რომელიც არ იყო ამდენად პოლიტიზებული. ეს ეხება შეიარაღებულ ძალებს და ჯართან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ეს არ იქნება ერთი საქმე, იქნება რამდენიმე და უკვე ცნობილია, რომ ამ კაბელების საქმეში დაპატიმრებული აღმოჩნდა გენშტაბის მაღალი დონის ოფიცერი და ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა, ეროვნული უსაფრთხოების დონეზეა ასული. უნდა დადგინდეს დამნაშავეები უახლოეს ორ თვეში, ვინმემ შეკერა ეს საქმე თუ რეალურად მოხდა დანაშაული.

**— ხშირად ამბობდით ხოლმე, რომ თავდაცვის სამინისტროში „მეხუთე კოლონაა“ ჩანერგილი და ეს ხალხი მოსაშორებელია უწყებიდან, მაგრამ ალასანიას დროს მათ გამოსავლენად არაფერი გაკეთებულა, ყოველ შემთხვევაში ამაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა. ახალმა მინისტრმა რა უნდა გააკეთოს, რომ მომავალში საბოტაჟს არ ჰქონდეს ადგილი?**

– მე სულ ვამბობდი, რომ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ურთიერთობაში იყვნენ გარკვეული ადამიანები შემჩნეულნი, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ თანამდებობებზე. ამ დრომდე არ მომხდარა ამ საკითხის წინ წამოწევა და არც იმ ჯარისკაცების რეაბილიტაცია, რომლებიც წინა ხელისუფლების რეჟიმის მსხვერპლი გახდნენ სააკაშვილის პოლიტიკური ინტერესების გამო. ეს არის ალასანიას ყველაზე დიდი შეცდომა, არ გამოიჩინა პოლიტიკური ნება, მან ამ მიმართულებით არაფერი არ გააკეთა, არ განახორციელა საჭირო ცვლილებები. რეფორმა უწყებიდან პოლიტიზებული სუბიექტებისგან გასუფთავებას მოითხოვდა და ეს რომ გაეკეთებინა, პოლიტიკურ რისკებთანაც აღარ გვექნებოდა საქმე. ახალი მინისტრი კონტრდაზვერვიდან მოვიდა და მოვუწოდებ მას, რომ, პირველ რიგში, კონტრდაზვერვაში მოკალათებულ არანაკლებ ძლიერ „მეხუთე კოლონას“ მიხედოს, რადგან ადვილი შესაძლებელია, თავდაცვის სამინისტროში არსებული ადამიანების მიერ დაგეგმილ მახეში მომავალშიც გავეხვეთ. მინისტრმა ჯერ მიხედოს სტრუქტურაში მოკალათებულ სისხლის სამართლის დამნაშავეებს და წინა ხელისუფლების გადმონაშთებს, რომლებიც, არავინ იცის, რა დავალებებს მიიღებენ თავისი პატრონებისგან, მათ თავდაცვის სამინისტროში თავისი არსებობით, შეიძლება გაცილებით მძიმე შედეგები მოიტანონ, ვიდრე აქამდე იყო.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### „ერთ ნამდვილ ამბავს გაგანდობთ, მიშასა და ბიძინას ურთიერთობიდან“



ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, გიორგი არველაძე, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ბოლო შეხვედრას იხსენებს.

„ერთ ნამდვილ ამბავს გაგანდობთ, მიშასა და ბიძინას ურთიერთობიდან, რომელიც დღევანდელი მოვლენების ფონზე ღიმილს მგვრის და თქვენც მინდა, რომ გაგაღიმოთ. კოჰაბიტაციის დაწყების მერე, ერთ-ერთ პირველ პირისპირ შეხვედრაზე ბიძინას მიშამ ნახევრად ირონიულად უთხრა, ეს რა კოალიცია შეკრიბე, ვერ ხვდები, რომ თავზე დაგექცევაო, რაზეც დიდმა ჭორვილელმა ნიშნის მოგებით მიუგო: „მიშა, შენ არ გესმის, რა არის ჩემი წარმატების მთავარი საიდუმლოო“ და მერე სრული სერიოზულობით ახსნა, რომ ეს იყო მისი უნარი, ზუსტად და უშეცდომოდ შეერჩია ადამიანები შესაბამისი ფუნქციისა და პასუხისმგებლობისთვის. მან ჩვეული რუდუნებით ახსნა, რომ არასოდეს არ ეშლება ადამიანების გამოცნობა და მათთვის ზუსტად შესაფერისი პოზიციის მოძებნა,...რომ ის იმდენად სწორედ ანაწილებს ფუნქციებს რომ მისი ყველა დანიშვნა ყოველთვის არის და იქნება უზუსტესი.

მართლა, ზუსტად ასე იყო, დიდი ხანი ხსნიდა ამას... უკიდურესად თავდაჯერებული და ამაყი,... თან იქადიდა, აი, ნახავთ როგორ იმუშავებს ჩემი მთავრობაო,...მიშა გაღიმებული უსმენდა“, – წერს „ფეისბუკზე“ არველაძე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### თეა წულუკიანი თანამდებობაზე რჩება



იუსტიციის მინისტრმა, ყოფილი თანაგუნდელებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და თანამდებობაზე დარჩა. მისი განცხადებით:

„ის, რაც მოხდა და ხდება, არის უკიდურესად სამწუხარო. ამ უმძიმეს ფონზე მაქვს ვალდებულება, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ივანიშვილისა და შემდეგ ღარიბაშვილის სხვადასხვა მთავრობის თითოეულმა წევრმა, ხაზს ვუსვამ, თითოეულმა წევრმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იმაში, რომ საქართველოს თავისი ევროპული არჩევანი გაემყარებინა, გაეხადა შეუქცევადი და ევლო წინ პროგრესის გზაზე. ამ გზაზე წარმატებით სიარულში იუსტიციის მინისტრმაც შეასრულა თავისი როლი იუსტიციის სამინისტროს თითოეულ თანამშრომელთან ერთად... ბედმა გამიღიმა და 2010 წლიდან დღემდე მოვხვდი ისეთი ადამიანების გვერდით, რომლებთანაც მქონდა, მაქვს და მექნება ერთიანი ღირებულებები, დასავლური ღირებულებები. 2012 წლიდან სათავეში ვუდგავარ იმ სამინისტროს, რომლის თითოეული თანამშრომელი პროგრესისთვის მუშაობს, და ეს სამუშაო სულ რამდენიმე დღის წინ დაგვირგვინდა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესის პირველი ფაზის წარმატებით დახურვით.

მე და ჩემს სამინისტროს არასოდეს გვქონია ხელშეშლა, გვევლო მთავრობასთან ერთად ევროპულ გზაზე, არც ერთი და არც მეორე პრემიერ-მინისტრის მხრიდან; არასდროს არც მოქმედ მინისტრებთან, არც აწ უკვე ყოფილ მინისტრებთან აზრთა სხვადასხვაობა ამ თემაზე არ ყოფილა. 2012 წელს ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური ძალა იყო და არის დღესაც ევროპული კურსის ერთგული. ეს გზა არის, დიახ, რთული, მაგრამ ეს იყო და არის მთავრობის განუხრელი კურსი, რადგან არ არსებობს საქართველოს კეთილი მომავალი ევროპული კურსის გარეშე. მანამ მაქვს თავისუფლება ვიმუშაო რეფორმებისთვის, რომლებსაც, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ქვეყანა მიჰყავს ევროპისაკენ, და მანამ არ მაქვს და არც მქონია არანაირი საფუძველი, მეფიქრა, რომ ჩვენი მთავრობა პროევროპული მთავრობა არ არის, მე და ჩემი გუნდი ვრჩებით იუსტიციის სამინისტროს სათავეში და ვაგრძელებთ მუშაობას სახელმწიფოსთვის“. – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ცნობილების პოსტები ალასანია-ღარიბაშვილის დაპირისპირებაზე

ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ცნობილი ადამიანები სოციალურ ქსელში ეხმაურებიან.

**ნინა წკრიალაშვილი, მომღერალი:**
– ვაი, ვაი, ვაი... იცი, რა მიკვირს? ნორმალური ტიპები რომ არ სჭირდებათ. ალბათ, ნორმალურები არანორმალურებად ეჩვენებათ ))).

**ნოე სულაბერიძე, ტელეპროდიუსერი:**
– ჩვეულებრივი Game of Thrones.

**მირანდა მირიანაშვილი, მომღერალი:**
– პირველ ყოვლისა, ის ძალიან მომხიბლავია! (მომწონს ლამაზი ადამიანები)... ის ჭკვიანია და პატიოსანი... და ძალიან მომწონს მისი მეუღლე! ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ მათ, სულ ესაა!

**კახი მამულაშვილი, მამულიჩა, პროდიუსერი:**
– გუნდის ლიდერი როცა მიდის, უნდა ადგე და გადადგე, არ უნდა ამას დიდი ხანი ფიქრი.

**დეფი, პოეტი:**
– და ეს ყველაფერი ხელისუფლებაში მოსვლიდან ორ წელიწადში. შემდეგი იქნება უსუფაშვილი და ფანჯიკიძე... და მერე დაიწყება ო, ჰო ჰოო... მალე იწყება თავდავიწყება, ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი.

**ნატო დუმბაძე, პროდიუსერი:**
– ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ )).

**ინგა გრიგოლია, ტელეწამყვანი:**
– იუსტიციის სამინისტროში ბრიფინგი არ დანიშნულა???.

**გოგი გვახარია, კინოკრიტიკოსი:**
– კულუარებში უკვე იმასაც ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში ჯერ კიდე უცნობია, ვინ შეიძლება წარადგინოს პრეზიდენტმა პრემიერის პოსტზე.

*ambebi.ge*



საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## „სიძე შე ძველო! – ფანჯიკიძე ალასანიას“



გოგა ხაჩიძეს, როგორც ვიცით, ფანტაზია არ ღალატობს, დღევანდელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა კი პოლიტიკოსი როლებში ისე შეიყვანა, სცენარიც კი დააწერინა. მთავარი გმირები მაია ფანჯიკიძე, ირაკლი ალასანია და თეა წულუკიანი გახლავთ.

მაშ ასე, გოგა ხაჩიძის „ფეისბუკის“ გვერდზე ვკითხულობთ.

დღეს დილით...

– დილა მშვიდობის, მაიკო!

– დილა მშვიდობის, ირაკლი!

– რას შვრები, რას აპირებ დღეს, გადადგები თუ არა?

– სიძე, შე ძველო! (იცინის)

– მადლობა, მაიკო! (კმაყოფილია)

*****

– დილა მშვიდობის, თეა.

– მზის სხივის მადლი გერტყას მუნ სახისა საბურველად, ყოველსა სისხამსა დილასა...

– რას შვრები, რას აპირებ დღეს, გადადგები თუ არა?

– რამეთუ დადგა ჟამი იგი, როდესაცა ჩუენ, ვიდრე ამასა ფიცხელსა სიტყუასა ზრახვითა კეთილითა ბაგეთაგან ჩვენთაგან აღმოუშვებდით, მოვიზღუდოთ თავი ჩვენნი მტკიცედ ვითარცა...

– კარგი, კარგი, თეა, მერე გადმოგირეკავ.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ამალია ჯიბლაძე: „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმათ, ვინც მხარში ამომიდგა“



სიმფონიური ორკესტრის წევრები ამალია ჯიბლაძეს რეპეტიციის შემდეგ ტაშით შეეგებნენ. ნიკოლოზ რაჭველი ამალიას ნიჭით გაოცებულია.

მეგა შოუ „ნიჭიერის“ აღმოჩენა ამალია ჯიბლაძე „სხვა შუადღეში“ ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით ორკესტრთან ერთად იმღერებს. გადაცემა, „რუსთავი 2“-ის ეთერში ოთხშაბათს 12-საათიანი „კურიერის“ დამთავრებისთანავე დაიწყება.

მანამდე კი ახალბედა მომღერალი რეპეტიციებს გადის.

ნიკოლოზ რაჭველი:

– მე ამ სიმღერას გავუკეთე ახლებური, საორკესტრო ვერსია, რომელიც არანაირად არ ჰგავს იმას, რაც მან „ნიჭიერში“ შეასრულა. ვღელავდი იმაზე, თუ როგორი იქნებოდა პირველი რეპეტიცია, შეძლებდა თუ არა, ამ აბსოლუტურად ახალ ჟღერადობასთან მორგებას. ჩემი გაოცება გამოიწვია იმან, რომ ამ ადამიანს მართლაც განსაკუთრებული ნიჭი აქვს, რადგან ადაპტაციაც არ დასჭირდა, პირველივე შესრულების დროს მან ყველაფერი გააკეთა ზუსტად და რაც მთავარია ისე, რომ ორკესტრის წევრების აპლოდისმენტები დაიმსახურა. რაც დამერწმუნეთ, იშვიათად ხდება.

ამალია ჯიბლაძე:

– ორკესტრთან ერთად რეპეტიციამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. პირველად შევეხე ამ სფეროს, რასაც ჰქვია ორკესტრი. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იმათ, ვინც მხარში ამომიდგა.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## მარიტა როხვაძის დიეტა – როგორ დავიკლოთ 17 კილოგრამი 4 თვეში



მარიტა როხვაძე ყველამ პროექტ „ჯეოსტარიდან“ გაიცნო. მაგრამ, ვისაც 2011 წლის „ჯეოსტარის“ გამარჯვებული ახსოვს, შეიძლება დღევანდელი მარიტა ველარც იცნოს. წონაში ძალიან დაიკლო და მომხიბვლელად გამოიყურება. პუტკუნა მარიტასგან აღარაფერი დარჩა. მაინც რაშია მარიტას სილამაზის საიდუმლო.

გთავაზობთ, დიეტას, რომლის წყალობითაც მომღერალმა ოთხ თვეში ჩვიდმეტი კილო დაიკლო.

„ჯეოსტარში“ მონაწილეობის პერიოდში იმდენს ვნერვიულობდი, რომ დიეტაზე ფიქრის დროც არ მქონდა. თან, ამ ნერვიულობის ფონზე, მგონი, უფრო მეტად გავსუქდი და კონკურსის ბოლო კვირას 81 კილო ვიყავი.

ძალიან მიყვარს ცომეული, კალორიული კერძები. ჰოდა, კონკურსის შემდეგ სარკეში რომ ჩავიხედე, ვთქვი, – ღმერთო ჩემო, რამხელა ვარ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება-მეთქი, – და გადავწყვიტე, დიეტა დამეცვა.



მაშ ასე, როგორია მარიტა როხვაძის დიეტა:

ვჭამ, მაგრამ არა ყველაფერს, და ვვარჯიშობ. რაციონიდან ამოვიღე ცომეული, ტკბილეული. მივირთმევდი მოხარშულ, უმარილო, უცხიმო წიწიბურას, მოხარშულ კარტოფილს, ზაფხულში კი მხოლოდ საზამთროსა და ყველს.

დავდიოდი, აუზზე, საუნაში და რაც მთავარია, ვვარჯიშობდი, შედეგად კი ოთხ თვეში 17 კილო დავიკელი. და კიდევ, ბევრ სითხეს ვიღებ, რომ არ გამოვიფიტო...“ – განაცხადა მარიტამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ეთერ კაკულიას ვარსკვლავს გაუხსნიან – რაზე ესაუბრა მომღერალი ანრი ჯოხაძეს



29 ნოემბერს ფილარმონიის წინ ეთერ კაკულიას ვარსკვლავს გაუხსნიან. მკითხველს შევახსენებთ, რომ მომღერალს ბოლო დროს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და მიუხედავად ამისა ცდილობს, საზოგადოების წინაშე მაინც მხნედ იყოს და ჟურნალისტებს ინტერვიუზე უარს არ ეუბნება, თუმცა სატელევიზიო ეთერს ერიდება.

– ოქიტაშვილს ვუთხარი, დათო, ვისაც ვარსკვლავი გაუხსენი, ყველა მოკვდა და არ მინდა-მეთქი. ახლა უკვე მეუხერხულება, ყველა მეკითხება, სად არის შენი ვარსკვლავიო. თან მეც მინდა უკვე. 29 ნოემბერს ჩემი დაბადების დღეა, ამ დღეს დავამთხვევ, ალბათ, ვარსკვლავის გახსნასაც. ახლა არსად არ გამოვდივარ, მირეკავენ გადაცემებიდან, ყველას უარს ვეუბნები, სუსტად ვარ, ჯერ არსად წასვლა არ შემიძლია. მინდა, დაბადების დღეზე გამოვჩნდე, – უთხრა, „რეიტინგის“ ჟურნალისტს ერთი თვის წინ ინტერვიუში.

ანრი ჯოხაძემ სოციალურ ქსელში ეთერ კაკულიასთან საუბრის ემოციებზე დაწერა:

– ახლა ვესაუბრე ეთერ კაკულიას, რომელსაც 29 ნოემბერს ვარსკვლავს გაუხსნიან ფილარმონიის წინ და მიუხედავად ჯანმრთელობის პრობლემებისა, ეს ქალი პოზიტივისა და დადებითი ემოციების წყაროა. ეთო, ძალიან მიყვარხარ!!! – წერს ანრი.

ჩვენ კი, მომღერალს გამოჯანმრთელებასა და დიდ სცენაზე დაბრუნებას ვუსურვებთ.

*reitingi.ge*

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ხალხური შემოქმედება
2. დათვის ნაშიერი
3. მომღერალი პაატა ...
4. კავშირი, გაერთიანება
5. მისი დედაქალაქია ტირანა
6. ნოხი
7. მოსეს ... მცნება
8. ბაზუა, ანუ ...
9. ძაფზე ასხმული შაქრის ნაყენები
10. ქვირითიდან გამოსული თევზი
11. წითელყელსახვევიანი მოწაფე
12. მისი დედაქალაქია ლისაბონი
13. სიო
14. ბაგირიანი მატარებელი მთაზე
15. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
16. სიმებიანი ინსტრუმენტი
17. ორი ხელით იჭმევა
18. ძვირფასი ლითონი
19. ლატვიის დედაქალაქი
20. მლაშე სანელებელი
21. დაბლობში ჩამდგარი წყალი
22. ძილის მოყვარული
23. შესვენება კალათბურთში ...-აუტი
24. ანჩხლი
25. მყარი წყალი
26. შესვენება თეატრში
27. დაავადება მეხსიერების დაქვეითებით
28. კაცუნა ზურგზე პროპელერით
29. ჰომეროსის პოემა
30. ტყავის ერთგვარი ქურთუკი
31. ჰუნების ბელადი
32. მსახიობი ... საკანდელიძე
33. პატარა ქვა
34. სანელებელი. მიიღება ღვინისაგან
35. ევროპელ ებრაელთა ენა
36. შინაური ფრინველი
37. სისხლძარღვი
38. ტბა თბილისში
39. შვეიცარიის დედაქალაქი
40. რითი მოკლა დავითმა გოლიათი
41. ანტილოპას სახეობა
42. მდინარე აფრიკაში
43. დ. კლდიაშვილი. „... ღორები“
44. მდინარე ქუთაისში
45. მსახიობი ... ბესინჯერი
46. რეჟისორი ... ფორმანი
47. რუსი ილუზიონისტი
48. მომღერალი ... სოხაძე
49. ვარამი
50. ინგლისელი პოეტი
51. მსახიობი კეტრინ ... ჯონსი
52. უფულოდ წაღებული საქონელი
53. მსახიობი ენტონი ...
54. შეზღუდული კვების რეჟიმი
55. მდინარე იმერეთში
56. მტაცებელი ფრინველი
57. სტადიონი რიოში
58. სახლის ლითონის ჩონჩხი
59. იანის საპირისპირო
60. ნუშის ლიქიორი
61. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი
62. იგავი
63. საზეიმო წვეულება
64. მხატვარი ... გრეკო
65. „მაუგლი“. პითონი
66. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
67. მომღერალი ... ლავინი
68. იყო ... მგალობელი
69. ლ. სანიკიძე. „უქარქაშო ...“
70. ციხესიმაგრის ქვის ლობე
71. მოტორიანი ნავი
72. კოსმონავტიკის რუსი მეცნიერი
73. ... ფიტცჯერალდი
74. თოკი
75. კრივი, რაგბი, ცურვა (ზოგადად)
76. ფარული დაცინვა
77. დაცლილი ვაზნა
78. ... ასე, ... ისე
79. მევიოლინე ... მეი
80. ჯეიმს კამერონის ფილმი
81. მდინარე პარიზში
82. გადაშენებული ფრინველი
83. ფეხბურთელი ... ანრი
84. საარჩევნო „ატრაქციონი“
85. ი. გოგებაშვილის მშობლიური სოფელი
86. მწერალი ... ჩეხოვი
87. მოდელი ... კემპბელი
88. მომსახურეობა, ანუ ...
89. ... ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია
90. ... შვილი დედის გულის ვარდიაო
91. სამკურნალო მცენარე
92. ფირმა „...-პარი“
93. მარჯნის კუნძული
94. დოსტოევსკის რომანი
95. ეპოქა
96. ნაჭრის გასაშლელი თავშესაფარი
97. ტაფამწვარი
98. კომში
99. მოსამართლის მოსასხამი
100. მომლოცველი
101. მსახიობი ტონი ...
102. რუხი მტაცებელი
103. მზემ ფანჯარას ... სტყორცნა
104. სასწორის ჯამი
105. იაპონური ჭიდაობა
106. ვიწრო გზა ტყეში
107. ერთგვარი კანფეტი
108. მსახიობი რიჩარდ ...
109. ცეცხლსასროლი იარაღი
110. ... დე მოპასანი
111. ფილოსოფოსი კასრში
112. რეჟისორი ... ღოღობერიძე
113. ძნელადმოძრავი სითხე
114. მსახიობი ... ასანტე
115. მარცხი
116. მაღალი, გამხდარი ადამიანი
117. გიგანტური ხვლიკი
118. 100 კაპიკი
119. მსახიობი ... გრანტი
120. მუსიკის მოყვარული
121. ... დე ბერჟერაკი
122. ... ცურტაველი
123. ყურძნის ჯიში
124. გიორგი დანელია ფილმი
125. „... ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“
126. მომღერალი ... სტიუარტი
127. ანტიოქიელი „ოქროს ...“
128. შეძახილი ტკივილისას
129. არამისი, პორთოსი და ...
130. ავსტრიის დედაქალაქი
131. სფეროს ფორმის წამალი
132. ინდური ფულის ერთეული
133. ცხოველი სავანაში
134. მსახიობი ... მუტი
135. ხორთუმიანი ცხოველი
136. იჩქარე ...
137. გამის ნოტი
138. ტანსაცმლის დეტალი
139. ფუტკრების სადგომი
140. დედამიწის გუმბათი
141. ამ მდინარეში მოინათლა მაცხოვარი
142. დროის საზომი ხელსაწყო
143. ყვავილი
144. წინაღობის შებრუნებული სიდიდე
145. „მე ... ქართველი ვარ“
146. ამერიკული თოჯინა
147. იუპიტერის თანამგზავრი
148. სახის ნაწილი
149. მსახიობი ... პაჩინო
150. ცხენის კისრის ბალანი
151. გამის ნოტი
152. ცხენბურთი
153. განმუხტვა ღრუბლებში
154. მსახიობი ... ნოლტი

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. შხამიანი ობობა
2. გასეირნება ქალაქგარეთ
3. ნიჭი
4. ... ფონ ბისმარკი
5. მსახიობი ... ღაღანიძე
6. ბუნების ამსახველი ნახატი
7. ... დასთეს, იმას მოიმკი
8. კინომოთხრობა
9. დათვი რომ მოგერევა დაუძახეო
10. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
11. მაგნატი არისტოტელე ...
12. ავტობუსის წინამორბედი
13. გრამატიკის ნაწილი
14. „მთვარის მოტაცება" ზვამბაია
15. ნიშნავს საწინააღმდეგოს
16. ... შვარცენეგერი
17. დიზაინერი ვერსაჩე
18. მდინარე თბილისში
19. სმენის ორგანო
20. რეჟისორი ოთარ ...
21. ბოსტნეული
22. დავითის არსენით სახელი
23. საბჭოთა კლოუნი
24. ტბა აფრიკაში
25. ცეცხლსასროლი იარაღი
26. პატარა ტანის მტაცებ. ცხოველი
27. „წითელი" პლანეტა
28. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
29. ლიტერ. გეული ზღაპრ. ზიარებისთვის
30. მსახიობი ... ნოლტი
31. მსახიობი მაკოლეი ...
32. შენობის გადაკეთება
33. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
34. ქალაქი ლიტვაში
35. ხის ჯიში
36. მსახიობი სტივ ...
37. დანა, კოვზი, ...
38. მონღოლური ფულის ერთეული
39. მოჭადრაკე ემანუილ ...
40. მისი დედაქალაქია ოტავა
41. წლოვანება
42. ძვირფასი თვლების წონის ერთეული
43. დოკუმენტების საცავი
44. თვალის ბროლის შემღვრევა
45. მსახიობი ... ბროუდი
46. აგენტი 007
47. მომღერალი დაიანა ...
48. მსახიობი კრისტიან ...
49. სასწორის ჯამი
50. ქიმიური ელემენტი
51. გემის მზარეული
52. ბოსტნეული
53. რეჟისორი ... სპილბერგი
54. ფქვილით შეზელილი ბადაგი
55. მეფედ კურთხევა
56. ცისარტყელას ფერი
57. მდინარე სამხ. ამერიკაში
58. რეპტილია
59. დიდი ჯოხი
60. ლითონი
61. მახრჩობელა გველი
62. ნივთიერება, აფართოებს გუგებს
63. თმის საშრობი ხელსაწყო
64. დიდი ჩაქუჩი
65. თიხის ჭურჭელი სითხისთვის
66. მ/ფ „... ტრეისი"
67. სანოტო სისტემის ფიგურული ფრჩხილი
68. მსახიობი ... ვარდალოსი
69. პერო „... მზეთუნახავი"
70. მცენარეთა სამყარო
71. დიზაინერი ჯორჯიო ...
72. მხატვარი კამილ ...
73. მხატვარი კამილ ...
74. რაჯ კაპურის ფილმი
75. კრემიანი ნამცხვარი
76. ... ძედუნი
77. გემი ორი კორპუსით
78. რეჟისორი კვენტინ ...
79. ქალი, ქალიშვილი
80. რეჟისორი სიკო ...
81. „... დე ბერჟერაკი"
82. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
83. ... ხაიამი
84. მსახიობი ... ლონგორია
85. ორი ათეული
86. გოგი ქავთარაძის ფილმი
87. იაპონელი თვითმკვლელი
88. სოუსი ბოსტნეულისათვის
89. მ/ფ „... ბროკოვიჩი"
90. კოსოვოს დედაქალაქი
91. ... სამოსი
92. უკრაინის პარლამენტი
93. რომაელი იმპერატორი
94. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
95. ზღვის ღმერთი ბერძ.მით.
96. ...
97. მომღერალი ... ქერი
98. ქალაქი იაპონიაში
99. ავსტრალიის მკვიდრი მოსახლე
100. სახოტბო ლექსი
101. მ/ფ „... მდივანი"
102. პერსონა ... გრატა
103. დახვეული ნამცხვარი
104. რეჟისორი პიერ პაოლო ...
105. კლავიატურა, ანუ ...
106. არასიმეტრიულობა, ანუ ...
107. რამდენიმე ქვემეხის გასროლა
108. უნგრელი კომპოზიტორი
109. მამალი კვიცი
110. ყველაზე ღრმა ტბა
111. ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო
112. აფროამერიკელი, ანუ ...
113. გულუბრყვილო
114. ბუდისტი მღვდელი ...ლამა
115. „დისის" პერსონაჟი
116. რეჟისორი ... ვან სენტი
117. ქალაქი რაჭაში
118. გადაშენებული ფრინველი
119. მომღერალი ფილიპ ...
120. იანის საპირისპირო
121. ჭადრაკის ფიგურა
122. ხილფაფა
123. ... სასმისი
124. მსახიობი ჯულიეტა ...
125. თეატრალური განცხადება
126. ...
127. სისხლის მიმოქცევის ორგანო
128. მდინარე იტალიაში
129. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
130. მწერი
131. ელვის ... პრესლი
132. ჩოგბურთის მოედანი
133. ... მცენარე
134. მსახიობი ... შნაიდერი
135. იაპონური თეატრი
136. ერთგვარი ქუდი
137. რუსი მხატვარი
138. კარტოფილის კერძი
139. ემინემის სტილი
140. კედელზე გასაკრავი სურათი
141. ... კუზანოვი
142. მწერალი თომას ...
143. მსახიობი ჩარლი ...
144. ...
145. ...
146. ბილიარდის ჯოხი

პასუხები: 1. ტარანტული; 2. პიკნიკი; 3. ტალანტი; 4. ოტო; 5. ჯემალ; 6. პეიზაჟი; 7. რასაც; 8. სცენარი; 9. ბაბა; 10. არისტოტელე; 11. ონასისი; 12. ომნიბუსი; 13. სინტაქსი; 14. არზაყან; 15. ანტი; 16. არნოლდ; 17. ჯანი; 18. მტკვარი; 19. ყური; 20. იოსელიანი; 21. მჟაუნა; 22. ვინ; 23. კარანდაში; 24. ნიასა; 25. პისტოლეტი; 26. ენოტი; 27. მარსი; 28. ისინდი; 29. სეფისკვერი; 30. ნიკ; 31. კალკინი; 32. რეკონსტრუქცია; 33. ვუნდერკინდი; 34. კლაიპედა; 35. აკაცია; 36. მარტინი; 37. ჩანგალი; 38. ტუგრიკი; 39. ლასკერი; 40. კანადა; 41. კატარაქტი; 45. ედრიან; 46. ბონდი; 47. როსი; 48. სლეიტერი; 49. პინა; 50. ფოსფორი; 51. კოკი; 52. პრასი; 53. სტივენ; 54. ფელამუში; 55. კორონაცია; 56. იისფერი; 57. ორინოკო; 58. კუ; 59. კეტი; 60. ნიკელი; 61. ბოა; 62. ატროპინი; 63. ფენი; 64. ურო; 65. დოქი; 66. დიკ; 67. აკოლადა; 68. ნია; 69. მძინარე; 70. ფლორა; 71. არმანი; 72. პისარო; 73. კორო; 74. „ავარა"; 75. ტორტი; 76. მაო; 77. კატამარანი; 78. ტარანტინო; 79. დიაცი; 80. დოლიძე; 81. სირანო; 82. კვიპროსი; 83. ომარ; 84. ევა; 85. ოცი; 86. „ჩარი-რამა"; 87. კამიკაძე; 88. მაიონეზი; 89. ერინ; 90. პრიშტინა; 91. პონჩო; 92. რადა; 93. კალიგულა; 94. მისისიპი; 95. პოსეიდონი; 96. არ; 97. მერაია; 98. ოსაკა; 99. აბორიგენი; 100. ოდა; 101. რაიკომის; 102. ნონ; 103. რულეტი; 104. პაზოლინი; 105. კლავიატურა; 106. ასიმეტრია; 107. კანონადა; 108. ლისტი; 109. ურა; 110. ბაიკალი; 111. „ოსკარი"; 112. ზანგი; 113. ალალი; 114. დალაი; 115. კიაზო; 116. გას; 117. ონი; 118. მოა; 119. კირკოროვი; 120. ინი; 121. პაიკი; 122. ჯემი; 123. აზარფეშა; 124. მაზინა; 125. აფიშა; 126. ქსელი; 127. გული; 128. პო; 129. ტიან; 130. კალია; 131. აარონ; 132. კორტი; 133. ხე; 134. რომი; 135. ნო; 136. კეპი; 137. რერიხი; 138. პიურე; 139. რეპი; 140. პოსტერი; 141. ივა; 142. მანი; 143. შინი; 144. გრაფიტი; 145. ნაია; 146. კიი. იკითხება: ტუკანი.

## რომელი ფერი უბიძგებს მეუღლეებს სექსისკენ?



მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული და ლტოლვა არ ყოფილა იმის გარანტია, რომ ცოლ-ქმარს შორის სექსი ყოველთვის ხარისხიანი იყოს. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე ამბობენ სპეციალისტები და პრინციპში, მათი მოსაზრება ჭკუასთან ახლოს არის.

– წყვილს შორის ვნებას ბევრი გარეშე ფაქტორი აძლიერებს, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმა.

მათი განმარტებით, ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ხშირად სექსი იმ წყვილებს აქვთ, რომელთა საძინებლები წითელ ფერშია გაწყობილი.

გამოკითხვაში 2 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და დადგინდა, რომ წითელი და იასამნისფერი აბრეშუმის ზეწრები სექსის პროვოცირებას კვირაში საშუალოდ 3,3-ჯერ ახდენენ.

საძინებლებში, რომლებშიც ვარდისფერი და ცისფერი ჭარბობს, სექსის მაჩვენებელი კვირაში 3,1-ია.

გაცილებით ნაკლებად ეხმარება წყვილის სექსუალური სურვილების მოზღვავებას ლურჯი, ყვითელი და თეთრი ფერები.

ყველაზე ცუდ ალმგზნებად დასახელდა: მწვანე, ნაცრისფერი და კრემისფერი. წყვილები, რომლებსაც საძინებლები ნახსენებ ფერებად აქვთ შეღებილი, სექსით კვირის მანძილზე დაახლოებით 1,8-ჯერ კავდებიან.

*myjane.ru*

## ამერიკელებმა „ჭკვიანი“ ქირურგიული ძაფი გამოიგონეს



სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ ამერიკელი მეცნიერების წყალობით, მსოფლიოს ძალიან ბევრი უსაზღვროდ საჭირო რამ აქვს შეძენილი. ამ შემთხვევაში მათი გამოგონება მედიკოსებსა და მათ პაციენტებს მოუგვარებს პრობლემებს.

საუბარია ახალ „ჭკვიან“ ქირურგიულ ძაფზე, რომლის ფუნქციებიც ძალიან რთული და მრავალგვარია.

ქირურგიულ ძაფს ბევრი თვისება უნდა ჰქონდეს, მაგალითად, უნდა იყოს მტკიცე, მოსახერხებელი, პლასტიკური, ასევე, ჰიპოალერგენული. არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისებაა – ორგანიზმში გაწოვა.

მოკლედ, ქირურგიული ძაფი უშუალო კონტაქტში შედის ჭრილობასთან და სწორედ ამან უბიძგა ამერიკელ პროფესორ ჯონ როჯერსს, შეექმნა ისეთი ძაფი, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იქნებოდა თვალ-ყურის მიდევნება შეხორცების პროცესსა და ქსოვილების მდგომარეობაზე. პერსპექტივაში ძაფმა შეხორცების სტიმულირებაც უნდა მოახდინოს.

როჯერსის ძაფი პოლიმერულ მასალაზეა დაფუძნებული მასში ინტეგრირებული სენსორებით, რომლებიც ერთმანეთთან ოქროს გამტარებითაა მიერთებული. ასეთი კონსტრუქცია ძაფის მოხერხებულობასა და ადვილად დამყოლობას უზრუნველყოფს.

სენსორები, რომლებიც გამოგონებაში გამოიყენება, ორი ტიპისაა: პლატინისა და კაჟის ტემპერატურული სენსორული დიოდები. ისინი ტემპერატურის ცვლილებაზე რეაგირებენ და საშუალებას იძლევიან, ქირურგმა აკონტროლოს, როგორ ხორცდება ჭრილობა და ხომ არ არის მასში ინფექციის კერები. ძაფის გამათბობელი ელემენტი კი ჭრილობის შეხორცების პროცესს აჩქარებს.

პირველი პაციენტები, რომლებზეც სიახლე გამოსცადეს, ლაბორატორიული თაგვები იყვნენ და ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც სწავლულებს სურდათ, თუმცა ჯერჯერობით მისი გამოცდა ბოლომდე მიყვანილი არ არის.

*meganauka.com*

## კამფეტები... მატლებისგან



თურმე, ამერიკაში, კერძოდ კი კალიფორნიაში, კამფეტების დასამზადებლად ძალზე უცნაური მეთოდი გამოიგონეს – ტკბილეულში კომპანია „ჰოტლაიქსის“ სპეციალისტები მწერებსა და სხვადასხვა ბევრისთვის საძულველ არსებას ურევენ. მაგალითად, კამფეტში შეიძლება შეგხვდეთ, ჭიანჭველა, კალია, მატლი და თქვენ წარმოიდგინეთ, მორიელიც კი.

კომპანიაში განმარტავენ, რომ მომხმარებელს სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ტკბილეულში მოხვედრამდე მორიელს შხამი მთლიანად ეცლება. ასევე ხდება მწერების შემთხვევაშიც – მატლებსა და ჭიაღუებს ყველა საშიში ნივთიერებისგან აცარიელებენ.

კიდევ ერთი საინტერესო სიახლე, რომელსაც „ჰოტლაიქსი“ მომხმარებელს სთავაზობს, არის ის, რომ მათ კამფეტებს ფორთოხლის, მარწყვის, ვაშლისა და სხვა ხილის გემოს გარდა (რა შუაშია ამ ყველაფერთან მუხლუხო და კალია, მაინც ვერ ვხვდებით), ბეკონის, ყველისა და ხახვის გემოც აქვს მიღებული.

„ჰოტლაიქსში“ ამტკიცებენ, რომ უჩვეულო ტკბილეულის მიმართ მომხმარებელი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს და მწერებიან კამფეტებს ერთნაირი სიამოვნებით მიირთმევენ ბავშვებიც, მოზარდებიცა და უფროსი ასაკის ადამიანებიც.

ღმერთმა შეარგოთ, ჩვენ პირადად საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და მაინცდამაინც არც ტარაკნიანი შოკოლადის გასინჯვის სურვილი გვირღვევს ღამის ძილს...

*pozitivchik.info*

## მოსკოველი ჩინოვნიკი ქრთამს საკუთარ ხელმძღვანელს სძალავდა




ქურდის ქურდი ცხონდაო, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, დაახლოებით ასეთი შემთხვევა მომხდარა მოსკოვში, სადაც ადგილობრივი კორუმპირებული ჩინოვნიკი ქრთამს საკუთარ შეფს სძალავდა.

როგორც ირკვევა, მოსკოვის დასავლეთ დეგუნინოს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რომან გრეჩიხინის დაკავება ხელმძღვანელისგან, ელენა მატიუშეჩჯინასგან 2 მილიონი რუბლის გამოძალვის ფაქტზე მოხდა.

გამოძიების ინფორმაციით, გრეჩიხინი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს ფულს იმ მოტივით სძალავდა, რომ მისი ვაჟის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ნარკოტიკების რეალიზაციასთან დაკავშირებით ადვილად ჩავფარცხავო.

გრეჩიხინი შეფსატყუებდა, რომ წარმატებით აწარმოებდა მოლაპარაკებებს პროკურატურის სხვადასხვა ჩინოვნიკთან და რომ საჭირო თანხის გადახდის სანაცვლოდ, სისხლის სამართლის დევნა აუცილებლად შეწყდებოდა.

საბოლოოო ჯამში, მოსკოვის მილიციამ გრეჩიხინი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა და სისხლის სამართლის საქმე ახლა უკვე მის წინააღმდეგაც აღიძრა.

*vesti.ru*

## შვეიცარიაში სპეციალურად სექსისთვის განკუთვნილ „საჭირო ოთახებს“ ააშენებენ



შორ გზაზე მგზავრობისას ადამიანს შეიძლება არა მხოლოდ მოშარდვა მოუნდეს, არამედ სექსუალურმა აღგზნებამაც უწიოს და პარტნიორის გვერდზე ყოფნის შემთხვევაშიც კი სურვილი ვერ აისრულოს თუნდაც ავტომობილში სხვა მგზავრების ყოფნის გამო.

სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, შვეიცარიის ხელისუფლებამ ავტომობილისტებისთვის გზებზე სპეციალური ოთახების აგება გადაწყვიტა, რომლებშიც ვნების დაკმაყოფილება კომფორტულად და რაც მთავარია, სხვისი თვალისგან მოფარებით შეიძლება.

აღნიშნული გადაწყვეტილება შვეიცარიის ხელისუფლებამ მას შემდეგ მიიღო, რაც ბოლო პერიოდში პოლიცია მძღოლების საწინააღმდეგო საჩივრებით გაივსო, რომლებიც სექსით პირდაპირ ავტომობილის სალონში კავდებიან.

უფასო იქნება ასეთი „საჭირო ოთახები“ თუ ფასიანი, არ კონკრეტდება.

*lenta.ru*

## ამერიკელმა ცოლ-ქმარმა შვილს „ხომალდის კურსი“ დაარქვა



საცოდავი ამერიკელი ბიჭუნა, რომელიც ცოლ-ქმარ ლინვილებს სულ რამდენიმე დღის წინ შეეძინათ, ფაქტობრივად, განწირულია სამუდამო დაცინვისთვის, რისი მიზეზიც ის გახლავთ, რომ ბავშვს უჩვეულო ფანტაზიის მქონე მშობლებმა სახელად „ხომალდის კურსი“ დაარქვეს, ხოლო დაბადების მოწმობაში დაბადების ადგილად ჩაწერილია: „ზღვა-ჰაერი“.

ახალშობილის მამის, ჯერი ლინვილის განმარტებით, ბავშვი სწორედ იმ დროს დაიბადა, როცა ის ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად ოკეანეში მოგზაურობდა. არადა, ექიმები ამბობდნენ, რომ მშობიარობის დრო მომავალ დედას ერთი თვის შემდეგ უნდა დასდგომოდა.

საბოლოოო ჯამში, გარემო პირობების გათვალისწინებით, ახალშობილს ცალტვინა მშობლებმა „ხომალდის კურსი“ დაარქვეს.

*vesti.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– რისთვის უნდათ ხოლმე მომავალ მამიკოებს, რომ ვაჟი შეეძინოთ?

– იმისთვის, რომ მანქანებით თამაშის კიდევ ერთი კანონიერი შესაძლებლობა მიეცეთ!..

*****

– მამიკო, ზღაპარი მომიყევი, რა.

– კარგი... ხვალ სახლში ადრე მოვალ, ფხიზელი, დედაშენს ყვავილებს მოვართმევ, შენ ველოსიპედს გიყიდი...

*****

ქმარი ცოლს:

– საყვარელო, ყავა გინდა?

– კი.

– მაშინ, შენთვისაც მოიდუღე...

*****

ექიმი პაციენტს აღშფოთებული ესაუბრება:

– საკმაოდ უკმაყოფილო ვარ მკურნალობის შედეგებით! მე ხომ გთხოვეთ, რომ დღეში მხოლოდ 10 ღერი მოგეწიათ?!

– მახსოვს, ექიმო, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ადამიანისთვის, რომელიც სიგარეტს არასოდეს ეწეოდა, ესეც ძალიან რთული შესასრულებელი პირობაა...

*****

– მონარქია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც, უმაღლესი თანამდებობა ქვეყანაში სქესობრივი გზით გადაიცემა...

*****

– გამარჯობათ, უშიშროებიდან გირეკავთ.

– ჰო, ვიცი!

– საიდან?

– გათიშულ მობილურზე მირეკავთ...

*****

ვაჟი მამასთან საუბრობს:

– მამი, რომელი ქალები უფრო ხშირად ღალატობენ ქმრებს – ქერები? თუ შავთმიანები? ან იქნებ წითურები?

– მომისმინე, შვილო, და დაიმახსოვრე – ყველაზე მყარ გარანტიას მხოლოდ ჭაღარა თმა იძლევა!..

*****



– მხოლოდ თავს რომ დაკარგავს, მაშინ შეუძლია ქალს სიყვარული!

– ჰო, აბა რა – აღარაფერი დარჩება, რომ სტკიოდეს და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი, აკადემიური საბჭო, სენატი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, პროფესორი

**ნაომ ბოჭორიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

**ნაომ ბოჭორიშვილი**

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ფილტვებს ელექტრონული სიგარეტიც აზიანებსო



ნამდვილად არ არის ახალი ამბავი, რომ ექიმები ელექტრონული სიგარეტის ზიანზე საუბრობენ. ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი კვლევაა ჩატარებული, უკანასკნელმა კი აჩვენა, რომ ელექტრონული სიგარეტი ფილტვების მდგომარეობას არანაკლებად არყევს, ვიდრე „ტრადიციული“.

კვლევის ავტორები ბერძენი სპეციალისტები არიან ათენის უნივერსიტეტიდან, რომლებმაც მიღებული შედეგები სულ ცოტა ხნის წინ ევროპის რესპირატორული საზოგადოების კონგრესზე გამოამზეურეს.

ცნობილი ხდება, რომ ბერძენმა სწავლულებმა ასობით ადამიანი შეისწავლეს ჯანმრთელობის ერთმანეთისგან განსხვავებული მდგომარეობით – ჯანსაღი ფილტვების მქონენი, ასთმიანები და ისინი, ვისაც ფილტვების ობსტრუქციული დაავადებები აწუხებდა. მოხალისეთა ნაწილი მწეველი იყო, ნაწილი – არამწეველი.

ელექტრონული სიგარეტის მოწევისას მეცნიერები სასუნთქი გზების მდგომარეობას აკვირდებოდნენ.

აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად ყველას, გამონაკლისის გარეშე, ფილტვების ფუნქციის დარღვევის დიაგნოზი დაუსვეს.

– მწეველს, თუკი მას ნამდვილად სურს, რომ ჯანმრთელობა არ დაიზიანოს, მოუწევს საბოლოო უარი თქვას სიგარეტზე, რადგან ელექტრონულიც კი მას არავითარ შვებას არ მოუტანს, – ასეთია ბერძენი სპეციალისტების ვერდიქტი.

*medkarta.com*

## „პახმელიაზე“ გამოსვლის მსოფლიოში ყველაზე უცნაური და საზიზღარი საშუალება...



რა ჯობია, ნაბახუსევზე კაი ჩაციებულ ლუდთან ერთად დამარილებული თევზის დაგემოვნებას?! იფ, იფ... ჩვენ, მაგალითად, ამის გახსენებაზე სხეულში საამო ჟრუანტელმა დაგვიარა, პირზე კი ნერწყვი მოგვადგა, მაგრამ ქვემოთ იმდენად საშინელი რამ უნდა გიამბოთ, სიამოვნებასა და ნერწყვზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გულისრევის შეგრძნება კი, ალბათ, დაგეუფლებათ.

საქმე ისაა, რომ ამერიკის ქალაქ ბუფალოს პოლიციამ ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის ბრალდებით დააკავა მამაკაცი, რომლის ვინაობა არ ზუსტდება, მაგრამ სამაგიეროდ ის არის ცნობილი, რომ მან თევზის ნაცვლად, საკუთარი... კატა დაამარილა, წარმოგიდგენიათ?!

დაკავებულის მტკიცებით, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა შინაური ცხოველის დამარილება და სადილზე შექმა გადაწყვიტა:

– მინდოდა, დამესაჯა კატა, რადგან ძალიან მოუსვენარი და მომაბეზრებელი გახდა, – მოახსენა პოლიციას ცალტვინა ამერიკელმა, რომელსაც ასეთი სულელური საქციელისთვის მინიმუმ ჯარიმის გადახდა მაინც მოუწევს.

*bigbuffalo.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**6 ნოემბერი:** დღეს მაღაზიაში შესვლისას ჯერ ის შეიძინეთ, რაც აუცილებლად გჭირდებათ და მერე ის, რაც გსურთ. ორივეზე შეიძლება ფული არ გეყოთ.

**კურო 22.04-21.05**
**6 ნოემბერი:** როგორც ჩანს, დღეს მოულოდნელი დიდი სიხარული გელით. წინასწარ შეემზადეთ, რომ ემოციებმა არ აგიყოლიოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**6 ნოემბერი:** დღეს რაღაცის შეცვლის საშუალება მოგეცემათ. ასეთი რამ იშვიათად ხდება და საწყენი იქნება, თუ არ გამოიყენებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**6 ნოემბერი:** თქვენს გარშემო შეიძლება ბევრი ადამიანი შეიკრიბოს, რომლებიც აგიხსნიან, როგორ უნდა იცხოვროთ, რომ მათი ატანა შეძლოთ. მოიცილეთ ისინი თავიდან, თუკი არ გინდათ, რომ გამწარდეთ.

**ლომი 23.07-22.08**
**6 ნოემბერი:** მავნე ჩვევების მოცილებისთვის შესაფერისი დღე არ არის. ტყუილად თავს დაიტანჯავთ და შედეგს ვერ მიიღებთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**6 ნოემბერი:** რაც უფრო მშვიდად აღიქვამთ მოვლენებს, მეტი იქნება თქვენი საქმეების წარმატებით დასრულების ალბათობაც.

**სასწორი 23.09-22.10**
**6 ნოემბერი:** თუ ეჭვიანობას არ დაიოკებთ, აუტანელი თანამოსაუბრე იქნებით. ადამიანებს ყოველთვის აღიზიანებთ, როცა მიანიშნებენ, რომ ყველაფერი მათზე უკეთ იციან.

**მორიელი 23.10-21.11**
**6 ნოემბერი:** დღეს მოუთმენლობა აგიტანთ, რასაც პრინციპულად უნდა შეეწინააღმდეგოთ, რადგან ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**6 ნოემბერი:** დღეს არაერთ წვრილმან, მაგრამ უსიამოვნო წინააღმდეგობას წააწყდებით. შეეცადეთ, თქვენი გაღიზიანება რომელიმე ახლობელზე არ ამოანთხიოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**6 ნოემბერი:** თქვენს გარშემო ყველა ოპტიმისტურად იქნება განწყობილი. თუ არ გინდათ, რომ მათგან მოღუშულობით გამოირჩეთ, ხშირად გაიღიმეთ და ირწმუნეთ, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა.

**მერწყული 20.01-18.02**
**6 ნოემბერი:** ის, რომ რაღაც პირველმა შეამჩნიეთ, არ ნიშნავს, რომ მის მესაკუთრეობაზე პრეტენზია გამოთქვათ.

**თევზები 19.02-20.03**
**6 ნოემბერი:** დღეს რაღაც მოვლენა გელით, რომელიც შეიძლება შემთხვევითობად ჩათვალოთ. ასე არ იქნება, თქვენ ამის წინაპირობები გამოგრჩათ.

## როგორ ატმოსფეროში უნდა მიირთვათ, რომ წონაში დაიკლოთ?



მართლაც ძალიან დიდი თავის ტკივილია თანამედროვე მსოფლიოსთვის ჭარბი წონა და როგორც კვლევები მეტყველებს, ამ მხრივ განსაკუთრებით ამერიკა იტანჯება.

ჰოდა, სწორედ ამერიკაში ტარდება ხოლმე უამრავი კვლევა, რათა პრობლემა როგორმე ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს.

ამ შემთხვევაში, კონტინენტსგაღმელებმა გასული საუკუნის შუა პერიოდში მცხოვრები ამერიკელების კვებითი ჩვევები შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ სიმსუქნე არ აწუხებდა მას, ვინც მკვეთრ შუქზე არ სადილობდა და არჩევდა, ჭამის დროს მუსიკისთვის მოესმინა.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამგვარ გარემოში ადამიანი გაცილებით სწრაფად ნაყრდება და შესაბამისად, კალორიების დონე, რომელსაც ის იღებს, საგრძნობლად მცირდება.

ცნობილია ისიც, რომ ექსპერიმენტი ფასტფუდის ერთ-ერთ პოპულარულ რესტორანში ჩატარდა.

დამტკიცდა, რომ მოხალისეები, რომლებიც მშვიდი მუსიკის თანხლებით და მკრთალ შუქზე მიირთმევდნენ, მართლაც გაცილებით ნაკლებს ჭამდნენ, ვიდრე ისინი, ვინც შიმშილს კაშკაშა სინათლეში და მუსიკის გარეშე იკლავდა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამ ყველაფრის ორგანიზება ნებისმიერ რესტორანსა თუ კაფეში შეიძლება, ოღონდაც, ნაკლებ სავარაუდოა, რომ დაწესებულებების მფლობელებმა კლიენტების ფიგურაზე ზრუნვა ხარჯების შემცირების ხარჯზე ინებონ. სამაგიეროდ, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ასეთი ატმოსფერო საკუთარ სახლში მოიწყოს და ზედმეტ კილოგრამებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს.

*jenjurnal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



„ძველი ბიჭი“ ტრასაზე „ფერარით“ მიექანება – მინიმუმ 150 კილომეტრ/საათის სიჩქარით. უცბად გვერდზე უცნობი მარკის მანქანამ ჩაუქროლა და წამებში უკან მოიტოვა.

გადაირია „ძველი ბიჭი“, უფრო ააჩქარა „ფერარი“ და წინ წასულ მანქანას ძლივს დაეწია:

– ჩვენი ძმა, რა მანქანით ხარ, ასე რომ გამისწარი?
– არ ვიცი... გაგებაში არ ვარ... არ ვიცი...
– როგორ თუ არ იცი, მითხარი, ძმურად!
– ვაა, არ ვიცი, კაცო... არ ვიცი-მეთქი!
– მაშინ ის მაინც მითხარი, საიდან მოდიხარ?
– „ამერიკულ გორკებზე“ ვიჯექი და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ››› 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.55